



4 ივლისი, 2019



ხუთშაბათი, №7 (2233)

ახალგაზრდა მკვლევარი



თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის მიმართულების მაგისტრანტი თამარ ჩოგოვაძე შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამარჯვებულია.

თამარი ერთ-ერთია იმ ახალგაზრდა მკვლევარებს შორის, რომლის პროექტმაც „გვიან ბრინჯაო — ადრე რკინის ხანის საბაჭყალები (გამოკვლევა, კატალოგი)“ გრანტი მოიპოვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტის გრანტით დაფინანსების 2018 წლის კონკურსის ლიდერია.

კონკურსში გამარჯვებული 21 პროექტიდან 10 პროექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერებს ეკუთვნით.

თსუ-ის პროფესორი, როგორც ევროპის ერთ-ერთ საუჩეთესო სპეციალისტად დაასახელეს



თსუ-ის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა ბიოლოგიური დაბერების კვლევის დარგში 2019 წლის ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად დაასახელეს. გერმანულენოვანი და გერმანული საერთაშორისო ასოციაციის კომერსზე საუკეთესო მეცნიერთა სიგელაბი თეიმურაზ ლეჟავასთან ერთად ინგლისულ და გერმანულ პროფესორებს გადასცეს.

83.3

ნომერები

■ საქართველოს დამფუძნებელი კრება – ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება



83.2

■ ინტერაქტიული შეხვედრა სტუდენტებთან საინფორმაციო კამპანიის „არგასინჯო“ ფარგლებში

83.2

■ ახალგაზრდა არქეოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია ვარძიაში

83.3

■ საბიბლიოთეკო დღეების დახურვა თსუ-ში

83.4

■ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი 75 წლისაა

83.7

■ თსუ-ში ახალი სალექციო კურსი „აგროსაკითხების გაშუქება“ დაიწყო

83.11

■ დათო მალრაძის პოემის – „ჯაკომო პონტი“ – თარგმანების პრეზენტაცია

83.12

■ მსოფლიოში ცნობილი მართლმადიდებელი თეოლოგის იოანე ზიზი ულასის ახალი წიგნი ქართულ ენაზე გამოიცემა

83.12

საერთაშორისო სახელის მქონე ფართო პროფილის ენათმეცნიერი



„მრავალგზის გამორჩეული“, — ასე შეაფასეს 80 წლის ცნობილი ენათმეცნიერის, ბელატიის აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ დამანა მელიქიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა საიუბილეო ღონისძიებაზე

83.5



საქართველოს დამფუძნებელი კრება – ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება

29 მაისს საქართველოს პარლამენტის პირველი რესპუბლიკის დარბაზში უმასპინძლა კონფერენციას, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2018 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის — „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“ — ფარგლებში გაიმართა.

პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს დამფუძნებელი კრების შესახებ ისტორიული მასალების შეკრება-მოძიებას და განალიზებას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე ხელმძღვანელობს, ხოლო განმასხვრცილებლები არიან: პროფესორები ოთარ ჯანელიძე, პაატა სურგულაძე, ირაკლი იაკობაშვილი და თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტიები: ნათია ზედგენიძე და თამარ ორჯონიკიძე.



აღნიშვნა განაპირობა იმ უზარმაზარმა ძალისხმევამ და იმ სასახლო ისტორიამ, რაც იმ 3 წელიწადში საქართველოს ჰქონდა. კონსტიტუციას იღებდნენ მაშინ, როდესაც მტერი კარზე იყო მომდგარი და არაერთი ფრონტის ხაზი იყო გახსნილი. გარდა ამისა, იმ პერიოდის სახე არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრებაც ჩვენთვის სამაგალიტოა. რამდენი სკოლა გაიხსნა, რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა გაემგზავრა საქართველოდან სასწავლებლად, რათა თავისი ქვეყნის სამსახურში ჩამდგარიყო, რამდენი მალაღობა დონის ოფიცერი და გენერალი იქნა გამოვლენილი იმ პერიოდში, რომელიც დღესაც საამაყო და მისაბაძია ჩვენი სამხედროებისათვის. ამ სამმა წელმა გააკეთა ის, რასაც ისტორიის მანძილზე პერიოდული გამოწვევები შეიძლება დავარქვათ“, — აღნიშნა მან.

კონფერენციამ პაატა სურგულაძემ ქართული პარლამენტარიზმის სათავეები მიმოიხილა, ოთარ ჯანელიძემ დამსწრე საზოგადოებას საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება და არჩევნების პროცესში არსებული დარღვევები გააცნო, მალხაზ მაცაბერიძემ საქართველოს დამფუძნებელი კრების საკანონმდებლო საქმიანობა გაანალიზა, ხოლო ირაკლი იაკობაშვილმა წარადგინა დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები, როგორც ქართული პარლამენტარიზმის ისტორიის წყარო. გამოსვლელთა შორის იყვნენ პროექტის მონაწილე დოქტორანტიები. ნათია ზედგენიძემ და თამარ ორჯონიკიძემ დამფუძნებელი კრების საპარლამენტო ეთიკასა და ამავე კრებაში ეროვნული უმცირესობების ჩართულობაზე

ისაუბრეს. როგორც პროექტის ხელმძღვანელი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი მალხაზ მაცაბერიძე აღნიშნავს, საკმაოდ რთული პრობლემაა დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმების მოპოვება და ძველი სტენოგრაფიული ჩანაწერების მოძიება, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი სხდომებისა, როგორიც იყო საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ემიგრაციაში წასვლის თაობაზე. მალხაზ მაცაბერიძის თქმით, ჯერჯერობით, ამ ოქმს ვერ მიაკვლივს, თუმცა, გარკვეულ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია სხდომის რეკონსტრუქცია. მისივე თქმით, ყველაზე სამწუხარო ის ფაქტია, რომ დამფუძნებელი კრების საკითხი ასწლიან პერიოდში ამ კუთხით შეუსწავლელია: „მნიშვნელოვანია, საქართველოს დამფუძნებელი კრების, როგორც ქართული პარლამენტარიზმის დასაწყისის, მონოგრაფიული შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ 100 წელი გავიდა, საკითხი ამ სახით შეუსწავლელია, რაც უპატიებელი რამ არის თანამედროვე ქართული მეცნიერებისათვის. ჩვენი კვლევა იქნება კომპლექსური ხასიათის. მასში გაანალიზდება არა მარტო ისტორიულ-ფაქტობრივი მასალა, არამედ დამფუძნებელი კრების სხდომებიც“, — ამბობს მალხაზ მაცაბერიძე.

თსუ-ის პროფესორი მიიჩნევს, რომ დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრაფიული ანალიზი კარგად წარმოაჩენს იმდროინდელ საპარლამენტო კულტურას და იმას, თუ როგორ ახერხებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები ერთმანეთთან თანამშრომლობას: „ჩვენ



მალხაზ მაცაბერიძე

შეგვიძლია რაღაცების აღდგენა, გვაქვს უძვირფასესი მონაცემები ქართულ პარლამენტარიზმსა და მასში მყოფ საოცრად განათლებულ ადამიანებზე, რომლებიც ორატორული ნიჭით გამოირჩეოდნენ. მათ შორის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. სწორედ აღნიშნული პარტია უწყობდა განსაკუთრებულად ხელს დამფუძნებელი კრებაში ადამიანების წარმოჩენას გენდერული და ეროვნული ნიშნით. და ამიტომაც, პარლამენტში როგორც ქალები, ასევე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები შედიოდნენ“, — გვითხრა მან.

სამეცნიერო კონფერენციას პარლამენტარები, აპარატის თანამშრომლები, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერები, პროფესორები და სტუდენტები ესწრებოდნენ. კონფერენციაზე მონაწილე სტუმრებს შორის იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ზვიად გაბისონიაძე. აღნიშნული ფონდის დაფინანსებით პროექტი, „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“, 2019 წლის თებერვალში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი წარმომადგენლობითი ორგანოს დაარსებიდან 100 წლის თავზე დაიწყო და ის სიმბოლურად 3 წლის განმავლობაში გაგრძელდება.

ინო შუბითიკა,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

ინტერაქტიული მუხრანის სტუდენტებთან საინფორმაციო ჯამპანის „არგასინჯო“ ფარგლებში

ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ორგანიზებით, საინფორმაციო კამპანიის „არგასინჯო“ ფარგლებში, თსუ-ის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ნინო ოკრიბელაშვილმა და ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ნარკოლოგმა გური მენაბდიშვილმა სტუდენტებთან ინტერაქტიული შეხვედრა გამართეს.



უნივერსიტეტის პროფესორა, ვიქტორია მობილიზებული იმისთვის, რომ ვთქვათ ახალი სიტყვა, თუ რა პრობლემა შეიძლება გამოიწვიოს ნარკოტიკთან ურთიერთობამ“, — განაცხადა ნინო ოკრიბელაშვილმა.

ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ნარკოლოგმა გური მენაბდიშვილმა სტუდენტების მიერ ნარკოტიკებთან დაკავშირებით დასმულ კითხვებს უპასუხა. როგორც გური მენაბდიშვილი აღნიშნავს, ღონისძიების ინტერაქტიული ხასიათი მნიშვნელოვანია, რადგან სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ნარკოტიკებთან დაკავშირებით მიიღონ ინფორმაცია არა



მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, არამედ ექიმი-ნარკოლოგისგან. იგი, ასევე, იმედოვნებს, რომ სამომავლოდ ამ ღონისძიებებში ის ადამიანებიც ჩაერთვებიან, რომლებიც წლების განმავლობაში იყენებდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს. „პროფესიულ აზრს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ, საინტერესოა ჩართულობა იმ ადამიანების, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ და ზუსტად იციან, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ზიანი ყოველდღიურობაში. კარგი იქნება, თუ აღნიშნულ ღონისძიებაში ჩართული იქნებიან ყოფილი მოხმარებლებიც და, თუნდაც, დღეს დამოკი-

დეული ადამიანებიც, რადგან ყველაზე უკეთ მათ იციან — რა ზიანი მოაქვს ნარკოტიკულ საშუალებებს“, — ამბობს გური მენაბდიშვილი.

„ჩვენ ისეთ ასაკში ვართ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ზუსტად ვიპოვოთ — რა შეიძლება მოჰყვეს ნარკოტიკის მოხმარებას. არ ვთვლი, რომ ნარკოტიკის მოხმარების გამო ადამიანებს უნდა ვსვამდეთ ციხეში, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველამ ზუსტად იცოდეს, რა საფრთხეები შეიძლება გამოიწვიოს ნარკოტიკის მოხმარებამ. მე თავად ვსწავლობ ოკუპაციურ თერაპიას, რაც ახლოს არის ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროსთან და ხშირად ვხვდები ისეთ პაციენტებს, რომლებსაც ფსიქიკური პრობლემები ექმნებათ ნარკოტიკის მოხმარების გამო“, — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტმა ნათია გაბრავამ.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. ღონისძიებაზე თსუ-ის სტუდენტებისთვის ასევე წარმოდგენილი იყო საინფორმაციო კამპანიის „არგასინჯო“ ფარგლებში მომზადებული ფილმი ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანების შესახებ.



თსუ-ის პროფესორი, რომელიც ევროპის ერთ-ერთ საუხეთასო სპეციალისტად დაასახელა

1-ლი გვერდიდან

თეიმურაზ ლეჟავამ საშუალო სკოლა 1957 წელს დაამთავრა ოქროს მედლით. 1957-1963 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიოლოგიის ფაკულტეტზე. 1963-1968 წლებში იყო საკავშირო აკადემიის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტის და შემდგომ საკავშირო სამედიცინო აკადემიის მორფოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი. 1968 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სპეციალობით — გენეტიკა. 1984 წელს სანკტ-პეტერბურგში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. იგი 1968-1969 წლებში იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს უორდანიას სახელობის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტის გენეტიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 1969-1970 წლებში — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ციტოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ხოლო შემდეგ — გენეტიკის განყოფილების გამგე. 1975 წლიდან დღემდე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის გამგე, ხოლო 2011 წლიდან დღემდე — გენეტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი. ავტორია 8 სახელმძღვანელოსი და 3 მონოგრაფიის. პროფესორ თეიმურაზ ლეჟავას ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ადამიანის გენომის კვლევები ნორმალური და პათოლოგიური შემთხვევებში, განსაკუთრებით დაბერების გენეტიკაში. მის მიერ შექმნილია დაბერების გენეტიკური თეორია, რომელიც სამ აღმოჩენას მოიცავს, ესენია: დადგინდა, რომ დაბერების პროცესში ქრომატინის მოდიფიკაცია პირველადია მუტაციებზე (ხარისხობრივი დარღვევების) და რე-

პარაციასთან (ალდგენის) მიმართებაში, რაც სიცოცხლის გახანგრძლივებისა და დაბერების პათოლოგიების აცილების საშუალებას ქმნის. დაბერების გენეტიკური თეორია და დაბერების პერიოდში ქრომატინის მოდიფიკაციის პროცესი ფართოდ არის გაშუქებული ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოქვეყნებულ პროფესორ ლეჟავას მონოგრაფიაში. თეორიის დებულებები შეტანილია ნამყვან ამერიკელ მეცნიერთა მიერ ქრომატინზე გაკეთებულ სამაგიდე ნაშრომში, როგორც ძირითადი არგუმენტი დაბერების პროცესში ქრომატინის რემოდელირებისა, რაც თავის მხრივ დაბერების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს; პროფესორ თეიმურაზ ლეჟავას მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა აგრეთვე, რომ რიგი სინთეზური პეპტიდური ბიორეგულატორების მოქმედებით შესაძლებელია დაბერების პროცესში მოდიფიცირებული ქრომატინის გახსნა, რაც ჩაკეტილ გენთა გამოთავისუფლების წინაპირობაა და, შესაბამისად, გენთა აქტივობის კორექცია დაბერების პათოლოგიების აცილებისა და მკურნალობის საშუალებას ქმნის; თეიმურაზ ლეჟავას მიერ აგრეთვე ნაჩვენებია, რომ პეპტიდური ბიორეგულატორებისა და მძიმე მეტალების კომბინირებული ზემოქმედებით შესაძლებელია დამოკლებული ტელომერის ნორმალიზაცია, რაც მნიშვნელოვანია გულ-სისხლძარღვთა, ავთვისებიანი სიმსივნეებისა და სხვა პათოლოგიების შემთხვევებში (როდესაც ტელომერები მნიშვნელოვნად დამოკლებულია) და შესაძლებლობას იძლევა დაისახოს გზები ამ პათოლოგიათა განკურნებისათვის. მას გამოქვეყნებული აქვს 133 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 20 პუბლიკაცია Springer-სა და Elsevier-

ის იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში და წიგნში — „Senescence“ edited by tetsuji nagata chapter 26, 631-646, 2012. 2006 წელს აშშ-ში გამოქვეყნდა მონოგრაფია: Teimuraz Lezhava, Human Chromosomes And Aging: From 80 To 114. Nova Biomedical, New York, — 177, 2006. მისი ციტირების ინდექსი 2013 წლისთვის არის 254. პროფესორ თეიმურაზ ლეჟავას ხელმძღვანელობით მომზადდა 19 საკანდიდატო დისერტაცია (მათ შორის ერთი უცხოელის (მუსხარა მუსხაშვილმა) და 2 სადოქტორო დისერტაცია. პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა არის მინვეული, როგორც მომხსენებელი/დელეგატი 2014 წლის კონგრესებზე (4th World Congress On Cancer Science & Therapy 2014, Chicago, USA, 2nd Annual World Congress Of Geriatrics And Gerontology 2014 (WCGG-2014), China, 2014 (ნაშრომის წინასწარი მოთხოვნის გარეშე). 2005-2013 წლებში პროფესორ თეიმურაზ ლეჟავამ მიიღო მონაწილეობა, როგორც მომხსენებელმა 11 საერთაშორისო კონგრესსა და ერთ სიმპოზიუმში. გერონტოლოგთა და გერიატრთა მსოფლიო კონგრესებზე (რიო-დე-ჟანეირო (ბრაზილია, 2005 წ.), (სეული, კორეა, 2013 წ.). პროფესორმა თეიმურაზ ლეჟავამ დაწერა სიმპოზიუმის „Chromosomes And Aging“. ერთობლივი სამეცნიერო სამუშაოები შესრულებული აქვს არაერთ უცხოურ სამეცნიერო ცენტრთან (აშშ, იაპონია, რუსეთი). 2014 წელს მონაწილეობდა 3 საგრანტო პროექტში, მათ შორის 2 უცხოური. თეიმურაზ ლეჟავას ხელმძღვანელობით დაარსდა საერთაშორისო სიმპოზიუმი — „დაბერების ციტოგენეტიკა“ (ჩატარდა 1972, 1984, 1989, 2008 წლებში თბილისში, ხოლო 1987 წელს ხიროსიმაში (იაპონია). 1970 წელს თბილისის სახელმწიფო სამედი-

ცინო ინსტიტუტში (უნივერსიტეტში) თეიმურაზ ლეჟავას ხელმძღვანელობით გაიხსნა პირველი გენეტიკის ლაბორატორია. 90-იან წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერ ჩამოყალიბდა „ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკის“ სპეციალობა, ხოლო 2011 წლის 25 თებერვალს აქვე დაარსდა გენეტიკის ინსტიტუტი. პირველად საქართველოში თეიმურაზ ლეჟავას მიერ არის აპრობირებული და დაწერა ციტოგენეტიკური მეთოდები: ადამიანის ლიმფოციტარულ კულტურებიდან ქრომოსომული პრეპარატების მიღების მეთოდი, დნმ-ს არაგემიანი სინთეზის მეთოდი (რეპარაცია), ქრომოსომათა რეპლიკაციის პერიოდის განსაზღვრის მეთოდი (თიმიდინის ჩართვის გამოყენებით), შვილულ ქრომატიდათა გაცვლის მეთოდი (ბრომდეოქსიურიდინის თიმიდინის ჩართვის გამოყენებით), Ag. C, G, ქრომოსომათა პეტეროქრომატული უბნების ბენდირების მეთოდები. თეიმურაზ ლეჟავა არის: ამერიკისა და საერთაშორისო გერონტოლოგთა ასოციაციის წევრი. საქართველოს ადამიანის გენეტიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარე. საქართველოს გერონტოლოგთა და გერიატრთა ასოციაციის სამეცნიერო განხრის ხელმძღვანელი. რიგი (როგორც ჩვენთან ისე საზღვარგარეთ) საზოგადოებრივი სამეცნიერო აკადემიების წევრი. დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედილით და ღირსების ორდენით, გერონტოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის მიერ „Sandoz Prize“-ში გერონტოლოგიის განხრით გამოქვეყნებული ნარმატებული ნაშრომებისთვის.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ახალგაზრდა არქეოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია პარძიაში

3 არძიის სამონასტრო კომპლექსმა მეთერთმეტედ უმასპინძლა ახალგაზრდა არქეოლოგთა საერთაშორისო კონფერენციას, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად მსოფლიოს ნამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კონფერენცია არქეოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელს პიტ რივერსს მიეძღვნა და მასში ევროპის 15 უნივერსიტეტი მონაწილეობდა, მათ შორის — ავსტრიიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, ინგლისიდან. კონფერენციაზე მონაწილეებმა ინდივიდუალური, უახლესი სამეცნიერო კვლევები წარმოადგინეს ნეოლითიდან მოყოლებული გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით. ასევე, განიხილეს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის არქეოლოგიური კვლევის საკითხები. კონფერენციის გახსნას თსუ-ის რექტორის მოადგილე ნინო გვენეტაძე, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის სასწავლო კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვახტანგ ლიჩელი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ ვიკერსი, უცხოელი და ქართველი პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. „კონფერენციაში ქართველ ახალგაზრდა არქეოლოგებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის არქეოლოგები, მომავალი მეცნიერები. მათ საქართველოსთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძიებების შესახებ ძალიან საინტერესო მოხსენებები აქვთ. ეს საუკეთესო საშუალებაა ამ დარგში არსებული სიახლეების გაცნობისა და ურთიერთგაზიარებისთვის. ვიმედოვნებ, ეს ტრადიცია გაგრძელდება და კიდევ უფრო განვითარდება“, — განაცხადა



მაიკლ ვიკერსი

თსუ-ის რექტორის მოადგილე ნინო გვენეტაძე. ვარძიის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია დიდი პოპულარობით სარგებლობს ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში და მასში მსოფლიოში ცნობილი არქეოლოგები მონაწილეობენ. „კონფერენციას მნიშვნელოვანი შედეგები აქვს — ჩვენი სტუდენტები უკვე მრავალი წელია, რაც უცხოეთის არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობენ, ისინი თვითონ აწარმოებენ არქეოლოგიურ კვლევას საქართველოს ფარგლებს გარეთ, რისი პრაქტიკაც აქამდე არ ყოფილა საქართველოში“, — აღნიშნა ვახტანგ ლიჩელმა. ვარძიის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციას ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ ვიკერსი უძღვებოდა, რომელიც 11 წელია კონფერენციის აქტიური მონაწილეა. „კონფერენცია დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში 11 წლის წინ. პროექტის იდეა იყო, რომ ქართველი სტუდენტებისთვის მიგვეცა შანსი — 15 წუთის განმავლობაში საკუთარი კვლევების



შესახებ ინგლისურად ელაპარაკათ. წლების განმავლობაში სტანდარტები უფრო გამყარდა. შეუძლებელია განასხვაო ქართველი არქეოლოგიის სტუდენტები და ოქსფორდის, მიჩიგანის ან ვარშავის ეთნოგრაფიის სტუდენტები ერთმანეთისგან“, — განაცხადა პროფესორმა. კონფერენციამ საშუალება მომცა არა ერთ ქვეყანაში, მასობელ აღმოსავლეთსა თუ ევროპაში არქეოლოგიურ კვლევებსა და გათხრებში მიმელო მონაწილეობა და შემდგომ ეს ყველაფერი წარმედეგინა აუდიტორიისათვის“, — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტმა დავით ნასყიდაშვილმა, რომელიც კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური მონაწილეა.

კონფერენცია 4 ივნისს დასრულდა. მისი მსვლელობის დროს გაიმართა დისკუსიები არქეოლოგიასა და მომიჯნავე დარგებში განხორციელებული კვლევების შესახებ, დაისახა სამეცნიერო პრობლემათა გადაწყვეტის გზები. ვარძიის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის მიზანია, ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ ახალგაზრდა არქეოლოგთა შორის კონტაქტების დამყარებას, მათი კვლევების პოპულარიზაციას მსოფლიო სამეცნიერო ბაზარზე და, შესაბამისად, ქართველი სტუდენტი-არქეოლოგების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციას.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი



ასეთ აღმზრდელს ეპოქალური აღმზრდელს უწოდებენ

ნაბო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის მუზეუმი გაიხსნა. მუზეუმი ნინო ჯავახიშვილის ყოფილ კაბინეტში განთავსდა, სადაც აკადემიკოსის საზოგადო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ამსახველი ფოტოები, სხვადასხვა დოკუმენტები, მისი ნახატები და დიპლომები გამოიფინა. ნინო ჯავახიშვილი მორფოლოგიის ინსტიტუტს 1959-2006 წლებში ხელმძღვანელობდა. მისი სამეცნიერო კვლევები გულ-სისხლძარღვთა და პერიფერიული ნერვული სისტემის მორფოლოგიასა და ექსპერიმენტული მედიცინის სხვადასხვა საკითხს ეხება. მეცნიერთა არაერთი თაობის აღმზრდელი მეცნიერი მუზეუმის გახსნის ცერემონიაზე მისმა მოსწავლეებმა, კოლეგებმა და შთამომავლებმა გაიხსენეს.

„პროფესორი ვიბრაძე ამბობდა, რომ ქალბატონი ნინო უწვრილეს სისხლძარღვებს ისე კერავს, როგორც უმაღლესი დონის ანგიოქირურგი და გადანერგვას ისე აკეთებს, როგორც საუკეთესო კარდიოქირურგი... მართლაც, საოცარი ხელი ჰქონდა. ყველანაირი სიკეთე, რაც კი არსებობს, ამ ადამიანს ახასიათებდა. ასეთ ადამიანებს ეპოქალური აღმზრდელს უწოდებენ. მემამყება, რომ მისი ასპირანტი ვიყავი“, — აღნიშნა ნინო ჯავახიშვილის მუზეუმის დირექტორმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა მაყვალა ნილოსანმა.

„ყველას გვახსოვს ქალბატონი ნინოს ღვაწლი. ეს შენობაც, სადაც მორფოლოგიის ინსტიტუტია განთავსებული, მისი პროექტის მიხედვით აშენდა. ყველა მისი შვილები ვართ, ბევრი რამ ვისწავლეთ მისგან — მორფოლოგია, ეთიკა, ადამიანური ურთიერთობები. ნინო ჯავახიშვილმა მორფოლოგიის ინსტიტუტი მსოფლიო დონის კვლევით დაწესებულებად აქცია“, — ასე გაიხსენა პროფესორმა ნოდარ ჭიჭინაძემ აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი, რომლის



მოადგილედ ის წლების განმავლობაში მუშაობდა. კვლევითი საქმიანობის გარდა, ნინო ჯავახიშვილი აქტიური საზოგადო მოღვაწე იყო. წლების განმავლობაში იგი „საქართველოს ქალთა საბჭოს“ ხელმძღვანელობდა. ორგანიზაცია იცავდა ქალთა შრომის უფლებებს, მუშაობდა ბავშვებისა და მოზარდების განათლების მიმართულებით, იბრძოდა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ და ა.შ. ორგანიზაციის წელს არამატერიალური

კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა. საბჭოს აღმასრულებელი დირექტორის ქეთევან გაბრუაშვილის თქმით, აღნიშნული ფაქტი სწორედ ნინო ჯავახიშვილის ღვაწლის დამსახურებაა. „არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ არაჩვეულებრივი პიროვნება, დედა და ბებია — ასე ახასიათებენ ნინო ჯავახიშვილს მისი შთამომავლები, კოლეგები და ნაცნობები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ნუნუ ოვისიანი-კოვამ მუზეუმის გახსნის ცერემონიაზე მეცნიერი გაიხსენა როგორც არაჩვეულებრივი დიასახლისი, მშობელი და თბილი ადამიანი. „ყველას ვუსურვებ, რომ ასეთ მისაბამ ადამიანებთან ჰქონდეს ურთიერთობის შესაძლებლობა“, — აღნიშნა მან.

„მე და ქალბატონ ნინოს დიდი ხნის განმავლობაში გვქონდა ინტენსიური თანამშრომლობა. ყველაზე მეტად დამამახსოვრდა მისი ფანტასტიკური იუმორის გრძობა. მუზეუმის გახსნა მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან ახალი თაობა უნდა იცნობდეს ისეთ პიროვნებას, როგორც ნინო ჯავახიშვილი იყო. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოში ევროპული დონის სამედიცინო სკოლების ჩამოყალიბებაში“, — განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

ნინო ჯავახიშვილის მუზეუმს სასემინარო აუდიტორიის დანიშნულებაც ექნება. სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის პერმანენტულად გაიმართება ნინო ჯავახიშვილის შესახებ გადაღებული ფილმის ჩვენებაც.

„ნინო ჯავახიშვილი მორფოლოგიის ინსტიტუტის დამფუძნებელი არ იყო, მაგრამ იგი გახლდათ მთავარი ხელმძღვანელი, მისი დამსახურებით ეს კვლევითი დაწესებულება საერთაშორისო ასპარეზზე გავიდა. მუზეუმის გახსნა ჩვენი მაღალიერების გამოხატული ერთგვარი შესტია“, — აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა დიმიტრი კორძაია.

ნინო ჯავახიშვილის მუზეუმის გახსნის ცერემონია 14 ივნისს გაიმართა.

საბიბლიოთეკო დღეების დახურვა თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო დღეების დახურვასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკის საცავებში დაცული უნიკალური, მათ შორის, ავტოგრაფიანი წიგნებთან ერთად, პირველად გამოიფინა ანტონ II კათალიკოსის ფერწერული პორტრეტი, რომელიც 1930-იანი წლებიდან ბიბლიოთეკის საცავებშია დაცული. როგორც ცნობილია, ანტონ II-ის პორტრეტი სულ რამდენიმეა შემორჩენილი. ექსპოზიციასზე დამთავალიერებელი ასევე გაეცნო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე ცნობილი ბიბლიოთეკარების ცხოვრებასა და შემოქმედებას და საბიბლიოთეკო დარგის შესახებ ბიბლიოთეკათმცოდნეების ნაშრომებს.



საბიბლიოთეკო დღეების დახურვის ღონისძიება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის თანამშრომლობით თსუ-ის ბიბლიოთეკაში გაიმართა. ღონისძიებას თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ლაშა სალინაძე, თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ხელმძღვანელი რუსუდან ასათიანი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი, ბიბლიოთეკარების საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან და სტუდენტები ესწრებოდნენ.

გან, მოგესხენებათ, ჩვენი ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესია საქართველოში თავისი წიგნადი ფონდით. საბიბლიოთეკო სფეროში არსებულ პრობლემებზე, გადასაჭრელ საკითხებზე, გამოცდილების გაზიარებაზე იყო საუბარი თსუ-ის ბიბლიოთეკის ცენტრალურ შენობაში. ამასთან, საბიბლიოთეკო დღეების დახურვის ღონისძიებაზე გამოფენილი იყო თსუ-ის ბიბლიოთეკის საცავებში დაცული უნიკალური მასალები“, — განაცხადა თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ლაშა სალინაძემ.

თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის ინფორმაციით, ბიბლიოთეკის შენობაში ერთდროულად რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. „გამოფენა რამდენიმე ნაწილისგან შედგება: ჩვენს საცავებში დაცულია რარიტეტული, უნიკალური საბიბლიოთეკო დოკუმენტები, რომელიც იშვიათ გამოცემებს განეკუთვნება. აქ არის ასევე წარმოდგენილი საქართველოში შექმნილი საბიბლიოთეკო შრომები, არა მხოლოდ უნივერსიტეტული ბიბლიოთეკარების, არამედ ზოგადად ბიბლიოგრაფიული ნაშრომები და სხვა“, — აღნიშნა ზურაბ გაიპარაშვილმა.

თსუ-ის ბიბლიოთეკარის ქეთევან სამადაშვილის თქმით, საბიბლიოთეკო ასოციაციამ გამოსცა წიგნი „ბიბლიოთეკარი — ხელოვანი“, „წიგნში თავმოყრილია ხელოვან ბიბლიოთეკართა ნაშრომები, მათ შორის ჩემიც“, — განაცხადა ბიბლიოთეკარმა.

„ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას აქცენტი უფრო რეგიონალურ ბიბლიოთეკებზე ჰქონდა გაკეთებული, დღეს განახლდა და კიდევ უფრო გაღრმავდა ურთიერთობები საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებთან“, — აღნიშნა საბიბლიოთეკო ასოციაციის ხელმძღვანელმა რუსუდან ასათიანმა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის

მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ცვლილებები საბიბლიოთეკო საქმიანობაში, კიდევ უფრო დაიხვეწება და მნიშვნელოვან მხარდაჭერას აღმოუჩენს ქვეყანაში არსებულ ბიბლიოთეკებს. „ჩვენს სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებით გარკვეულ კონსენსუსს მივალნივით. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა არის ინიციატორი, რომ საკანონმდებლო თვალსაზრისით გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს“, — განაცხადა მირიან ხოსიტაშვილმა.

საბიბლიოთეკო დღეების დასკვნითი ღონისძიების დასრულების შემდეგ თსუ-ის ბიბლიოთეკაში მრგვალი მაგიდა გაიმართა, სადაც განხილვის თემა წიგნებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საკითხი და საბიბლიოთეკო დარგში საკანონმდებლო ინიციატივა იყო.



საერთაშორისო სახელის მქონე ფართო პროფილის ენათმეცნიერი

შარტონია ბაროშვილი

„მრავალგზის გამორჩეული“, — ასე შეაფასეს 80 წლის ცნობილი ენათმეცნიერის, გელათის აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ დამანა მელიქიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა საიუბილეო ღონისძიებაზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, პროფესორები, მეცნიერის მეგობრები და ოჯახის წევრები დაესწრნენ.

„დამანა მელიქიშვილის, როგორც პიროვნების და მეცნიერის, გამორჩეულობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მისი სახელიც კი იშვიათია... იგი გამორჩეულ ოჯახში დაიბადა, შემდეგ გამორჩეული უნივერსიტეტის, გამორჩეული ფაკულტეტის კათედრა აირჩია — ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და მთელი ცხოვრება მას დაუკავშირა. საგულისხმოა ისიც, რომ მან ორი დიდი უნივერსიტეტის: ვარლამ თოფურიასა და მიხეილ ზანდუკელის ხელდასმით დაიწყო სტუდენტური ცხოვრება და თავისი საქმიანობით მალევე დაამახსოვრა ყველას თავი. თუ მის ხანგრძლივ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას თვალს გადავავლებთ, ორი დიდი სიყვარული გამოიკვეთება: იოანე პეტრინი და ქართული ზმნა... სამწუხაროდ, მისი სტუდენტი არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა განსაკუთრებით მაშინ გაღრმავდა, როდესაც ქალბატონი დამანა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის ხელმძღვანელად აირჩიეს. დიდი ხნის მანძილზე, რთულ ვითარებაშიც საოცარი შემართებით უმკლავდებოდა ყველა სირთულეს: გვინახავს იგი აცრემლებულიც, მინისტრებთან მოკამათეც მისი საყვარელი უნივერსიტეტის და საქმის — ქართული მეცნიერების გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც დღემდე იბრძვის.“

დამანა მელიქიშვილი განსაკუთრებული სიტოხით და სიყვარულით ასსოვთ სტუდენტებს. 80 წელი დამანა მელიქიშვილისნაირი უშრეტო ენერჯის ადამიანისთვის ცოტაა... დარწმუნებული ვარ, მას წინ კიდევ მრავალი გეგმა აქვს, რომელსაც წარმატებით განახორციელებს“, — ასე მიულოცა თსუ-ის პროფესორმა დარეჯან თვალთაძემ დამანა მელიქიშვილს იუბილე.

საზეიმო საიუბილეო ღონისძიებას უძღვებოდა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი რამაზ ქურდაძე, რომელმაც მეცნიერის მოღვაწეობაზე ისაუბრა: „დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტში მნიშვნელოვანი დღეა. დამანა მელიქიშვილის ღვაწლი, მისი ნაშრომები არა მარტო საქართველოშია ცნობილი, არამედ ევროპასა

თუ ამერიკაში. მისი ბოლოდროინდელი გამოკვლევა, რომელიც ქართული ზმნის სტრუქტურასა და კონსტრუქციას ეხება, ინგლისურად ითარგმნა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნ-ჯერ მეტი ფორმატით გამოიცა, ვიდრე ქართული ვარიანტი, რაც იმის დადასტურებაა, რომ დამანა მელიქიშვილი საერთაშორისო დონის მკვლევარია. იგი თავისი სტუდენტებისთვის თუ ოჯახის წევრებისთვის „ანთებული ლამპარია“, ამიტომ ჩვენი ინსტიტუტის სახელით მას სიმბოლურად „ლამპარი“ ვაჯილდოებთ. იმედი გვაქვს, ეს ლამპარი დიდხანს ენთება მის სამუშაო კაბინეტში და ჩვენს სტუდენტებს „გზას გაუნათებს“, — აღნიშნა რამაზ ქურდაძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ემერიტუს-პროფესორი დამანა მელიქიშვილი უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა. „ძალიან რთულია ისაუბრო ადამიანზე, რომელმაც მთელი თაობები აღზარდა. იგი სახელგანთქმული მეცნიერია, კარგი აღმზრდელი და გარდა ამისა, ენერჯიული და დადებითი ადამიანია, რომელიც პოზიტიურ ენერჯიას გაცემს. უნივერსიტეტი, უპირველეს ყოვლისა, არის სტუდენტი, პროფესორი და ტრადიცია. ამ შემთხვევაში ქალბატონი დამანა თავისი მოღვაწეობით ამ ტრადიციის გამგრძელებელია. მან მრავალი თაობა აღზარდა და მომავალშიც გზას ბევრ თაობას გაუკვალავს, მისი შემართება მართლაც შესაუბრია. ვუსურვებ ქალბატონ დამანას დიდხანს სიცოცხლეს, ჩვენი უნივერსიტეტისა და ქვეყნისთვის კიდევ ბევრი საქმის კეთებას“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

დამანა მელიქიშვილის სამეცნიერო მიღწევებსა და პიროვნებაზე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა ისაუბრა: „დამანა მელიქიშვილს, დიდ მეცნიერს, ჭეშმარიტ მოქალაქეს, არაჩვეულებრივ პიროვნებას, პროფესორს, ფილოლოგთა მრავალი თაობის გზამკვლევს, გელათის აკადემიის აკადემიკოსს 80 წლის იუბილე აქვს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამაყობს მისით, რადგან იგი ჩვენი უნივერსიტეტის სახეა, ქართული აკადემიური საზოგადოების მნიშვნელოვანი პერსონაა. ქალბატონი დამანა ის პიროვნებაა, რომელიც თავისი მოღვაწეობის დროს აზროვნებს ლოგიკური კრიტერიუმებით, ხოლო ცხოვრებაში — ზნეობრივი და მორალური კატეგორიებით. მას ყველა იცნობს, როგორც პრინციპულ პიროვნებას, ამავე დროს, თბილი და მოსიყვარულე ადამიანია. იგი ქართული ენის ჭეშმარიტი ქომაგია და „ცუდად წაუვა“ საქმე იმას, ვინც ქართული ენის ღირსებას შეეხება. სასიამოვნო სიახლეა, რომ უმოკლეს ხანში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისი უნივერსიტეტის“ რედაქტორი ნინო კაკუღია დამანა მელიქიშვილის ცხოვრება-



ზე დოკუმენტურ ფილმს გადაიღებს. დღევანდელი შეკრება კი მიუთითებს იმაზე, რომ უნივერსიტეტი ამაყობს თქვენით“, — განაცხადა ნანა გაფრინდაშვილმა.

საიუბილეო ღონისძიებას გელათის აკადემიის პრეზიდენტი, მიტროპოლიტი მუჟე იოანე დაესწრო, რომელმაც მეცნიერის გელათის მეცნიერებათა აკადემიაში და სასულიერო აკადემიაში მოღვაწეობაზე ისაუბრა: „დამანა მელიქიშვილი „მარად ახალგაზრდა“ და ენერჯიით სავსე აგრძელებს თავის საქმიანობას, ზრდის მომავალ თაობას... იგი გელათის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელია“, — აღნიშნა მუჟე იოანემ.

დამანა მელიქიშვილის სამეცნიერო საქმიანობაზე ვრცლად და ამომწურავად ისაუბრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსმა შუქია აფრიდონიძემ: „დამანა მელიქიშვილი საერთაშორისო სახელის მქონე ფართო პროფილის ენათმეცნიერია, რომლის ფილოლოგიურ-ლინგვისტურმა ნაშრომებმა და ფილოსოფიურ-თეოლოგიურმა ძიებამ შესამჩნევად წინ წასწია ქართველოლოგიური მეცნიერება, ისევე, როგორც ძველ ენათა (ძველი ქართულისა და ძველბერძნულის) კონტაქტების სფეროს კვლევა. წმინდა ლინგვისტიკის მიმართულებით აღსანიშნავია ბოლო წლებში გამოქვეყნებული უნიკალური მონოგრაფია — „ქართული ზმნის უღლებების სისტემა“, რომელიც საეტაპო მონოგრაფიაა არა მარტო ავტორის მეცნიერულ მოღვაწეობაში, არამედ, საერთოდ, ქართული გრამატიკის ისტორიაში. ფილოლოგიურ-ლინგვისტური და ზოგადკულტუროლოგიური კვლევის მეორე მიმართულება, რომელსაც დამანა მელიქიშვილი ჯერ კიდევ სტუდენტობიდან პარალელურად მიჰყვებოდა, არის მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, რომლებიც მიექვანა გელათის ლიტერატურული სკოლის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენელთა (მეტადრე იოანე პეტრინის) ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შრომათა ინტენსი-

ურ კვლევას. სრულიად განსაკუთრებულია დამანა მელიქიშვილის ღვაწლი ძველი ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ისტორიის კვლევაში. ამ კომპლექსური მუშაობის შედეგად შეიქმნა რამდენიმე მონოგრაფია, მათ შორის უმნიშვნელოვანესია „იოანე პეტრინი“, „განმარტება პროკლე დიადოხოსის ღვთისმეტყველების საფუძვლებისა (თანამედროვე ქართულზე, ლექსიკონითა და შენიშვნებით)“, ასევე: „ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ისტორიიდან“ და სხვა. ამ ნაშრომებისთვის დამანა მელიქიშვილი დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიით დაჯილდოვდა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დამანა მელიქიშვილმა ათეული წლების მანძილზე აღზარდა მთელი პლეადა ქართულ-ბერძნულ ფილოლოგიაში მომუშავე ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერებისა, რომლებიც ამჟამად წარმატებით ეწევიან სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. მისმა ნაშრომმა („ძველი ქართული თარგმანის თეორია და პრაქტიკა“) დაიმსახურა „VTB ბანკ ჯორჯიას“ მიერ დაწესებული ყოველწლიური პრემია საგანმანათლებლო დარგში „პარნასი“.

იგი დღემდე აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა პროექტში, მისი ნაშრომები გამოირჩევა ფართო თემატიკით, კვლევის სიღრმით. მან თავისი დიდი მასწავლებლებისგან საუკეთესო თვისებები იანდერძა და თავადაც აღზარდა ენათმეცნიერთა სამედიო და ნიჭიერი კადრები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი თანამედროვე მეცნიერების ნამდვილი კლასიკოსია. ჩემთვის დიდი პატივია, რომ იგი ჩემი ახლო მეგობარია“, — აღნიშნა შუქია აფრიდონიძემ.

საიუბილეო ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუდენტებიც, რომლებმაც კითხვებით მიმართეს პედაგოგს. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის ნათია ბენაშვილის კითხვაზე: ვინ იყო მისთვის მისაბაძი პიროვნება? დამანა მელიქიშვილმა უპასუხა: „ჩემი ცხოვრების გზაზე, ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან, ბევრი მისაბაძი ადამიანი მყავდა — 23-ე სკოლა იმ დროს „თითით საჩვენებელი“ იყო, სადაც გვასწავლიდნენ ლოგიკას, ფსიქოლოგიას, ლათინურს და სხვა საგნებს. პედაგოგებიდან გავისხენებ მარიამ ბალანჩივაძეს, ნიკო ჯაფარიძეს, სერგო ახვლედიანს, ვალერიან მენაბდეს. მათი დიდი მაღლობელი ვარ, რომ გზა გამისხნეს უნივერსიტეტში სასწავლებლად, უნივერსიტეტში კი დამხვდა მთელი პლეადა უნივერსიტეტის დამფუძნებლებისა და პირველი პროფესორებისა, რომელთა ცხოვრება თუ მეცნიერული მოღვაწეობა დღემდე ჩემთვის სამაგალითოა“.

საიუბილეო თარიღი კოლეგას თსუ-ის პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ



რამაზ ქურდაძე



შუქია აფრიდონიძე



მუჟე იოანე



საართაშორისო სახელის მქონე ფართო ჰროფილის ენათმეცნიერი

81-5 გვ-და

მიულოცა: „უნივერსიტეტს მართლაც კარგი ტრადიცია აქვს — დაფასდეს პიროვნება, რომელიც ამას იმსახურებს... დამანა მელიქიშვილმა დიდი გზა გამოიარა, აქამდე დიდი შემართებით მოდიოდა და დღემდე ასეა... ქართული მეცნიერების განვითარებისთვის მან დიდი საქმე გააკეთა. ცნობილია, რომ იოანე პეტრინის პიროვნების არსის გაგებას ჩვენი და ჩვენზე წინა თაობა ცდილობდა და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. ამ კუთხით დიდი საქმე გააკეთა, დამანა მელიქიშვილის დამსახურება ამ კუთხით განუზომელია. იგი მხოლოდ დიდი პიროვნება, მეცნიერი და პედაგოგი კი არ არის, არამედ დიდი ოჯახის დედა და დიდი ბებიაა — ამ ოჯახს დღევანდელი ქართული ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის. დამანა მელიქიშვილი აგრძელებს იმ დიდ ეროვნულ საქმეს, მეცნიერებას, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით და რომელსაც დღეს ნამდვილად უჭირს. დამანა მელიქიშვილი ამ ეროვნული საქმის წარსული და აწმყოა, რომლის წყალობით ეს დიდი ეროვნული მეცნიერება გაგრძელდება, რადგან ესაა ჩვენი არსის მთავარი ძარღვი“, — აღნიშნა ელგუჯა ხინთიბიძემ.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროფესორის ლია ქაროსანიძის ინფორმაციით, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადამწყვეტილებით, ყოველწლიური კონფერენცია ტერმინოლოგიაში წელს დამანა მელიქიშვილის საიუბილეო თარიღს მიეძღვნება. მეცნიერს იუბილე მიულოცეს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორებმა და სტუდენტებმა.

საიუბილეო საღამოზე დამანა მელიქიშვილმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა და კიდევ ერთხელ ისაუბრა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მომავალი თაობის აღზრდა, რომელსაც იგი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავისი მოღვაწეობის მანძილზე: „პედაგოგმა, პიროვნულ რიგში, სწორედ უნდა შეძლოს სტუდენტის პოტენციალისა და ინტერესის გარკვევა, სწორედ მაშინ არის შესაძლებელი მისი სწორ გზაზე დაყენება და გზის გაკვალვა. ჩემს სტუდენტებთან ერთად ურთულესი პერიოდიც გავიარე, სხვადასხვა დროს მყავდა ძლიერი სტუდენტები კლასიკური ფილოლოგიის განხრით, ისინი წარმატებით მოღვაწეობენ ხელნაწერთა ინსტიტუტში, ლექციებს კითხულობენ საზღვარგარეთ. ჩემთვის



ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათგან სიყვარულს და დაფასებას ვგრძნობ. მიხარია ისიც, რომ იმ საქმეს ემსახურებიან, რომელიც შევავარე“, — განაცხადა დამანა მელიქიშვილმა.

ოლდენბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი ვინფრიდ ბოედერი დამანა მელიქიშვილს 70 წლის იუბილეზე წერილს უგზავნის, რაც დღესაც არ კარგავს აქტუალობას, რადგან მასში ჩანს ქართველი მეცნიერის სიდიდე და მისი მოღვაწეობისადმი ევროპელების აღქმელობაც.

გთავაზობთ ვინფრიდ ბოედერის წერილს:

„დ. მელიქიშვილი იმ ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიების რიცხვს განეკუთვნება, რომლებმაც ძველი თაობის გამოჩენილ აკადემიკოს მასწავლებლებთან — ა. შანიძესთან, ა. ჩიქობავასთან და სხვებთან მიიღეს შესანიშნავი განათლება, მიუხედავად ისტორიულად განპირობებული ყოველგვარი არტახებისა და თვითონაც უაღრესად სანდო და ნაყოფიერი მეცნიერები გახდნენ საქართველოში. დ. მელიქიშვილთან განსაკუთრებით განვითარდა მუშაობის ორი ძირითადი თემა, რაზეც ბევრი საყურადღებო სტატია და ნიჭი აქვს დაწერილი: ერთია ქართული ზმნური სისტემის, განსაკუთრებით კი დიათეზის უაღრესად რთული პრობლემის აღწერა, მეორე კი ე.წ. „გე-

ლათის სკოლის“ ფილოლოგიური და ენათმეცნიერული ათვისება. პირველ დარგს აქ ვერ შევხვები; იგი ყველაზე ნათლადაა დამონშული 2002 წლის მონოგრაფიაში „ქართული ზმნის უღლების სისტემა“, რომელიც უკვე თავისი მასალის მოცულობითა და აღწერის სისტემატურობითაა დიდი მიღწევა. აქ კი უპირველეს ყოვლისა მეორე სფეროს ფუნდამენტურ მნიშვნელობაზე მინდა შევაჩერო ყურადღება. გელათის სკოლის თხზულებებისა და მათი ენის ყოველმხრივი, კომპლექსური შესწავლა გაცილებით მეტია, ვიდრე ძველი ქართული ლიტერატურის დამატებითი ძეგლების დამუშავება და გამოკვლევა. აქ ნამოჭრილია ორი ცენტრალური პრობლემა, რომლებიც, რამდენადაც ვიცი, სხვაგან და ამგვარად არ ყოფილა შესწავლილი.

1) ბერძნული ფილოსოფიური და თეოლოგიური ტერმინების შესატყვის-სა შეგროვების გარდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, გავიზაროთ ენის ახალი ფუნქციის წარმოშობა, კერძოდ — გენეზისი მეცნიერული ენისა, ადეკვატურობისა და სისტემატურობის ყველა თავისი მოთხოვნილებებითურთ. დ. მელიქიშვილის ნაშრომები მიმაჩნია უმნიშვნელოვანეს წვლილად ისეთი ზოგადი პრობლემის გადაჭრაში, როგორიცაა კითხვა: როგორ იქმნება ახალი მეცნიერული ენა არა მხოლოდ მატერიალურად, ანუ არსებული რესურსების (მაგალითად, სიტყვანარმო-

ების) გამოყენებით, არამედ აგრეთვე აზრობრივად, როგორც სისტემა ცნებითი და დეფინიციური თვალსაზრისით ერთმანეთთან კავშირში მყოფი კატეგორიებისა? დ. მელიქიშვილმა ეს პროცესები მრავალრიცხოვანი მაგალითებით დეტალურად აქვს აღწერილი და ახსნილი.

2) ჩემი აზრით, ათონელთა სკოლაზე უფრო მეტად სწორედ გელათის სკოლის შემთხვევაში ვლინდება სპეციალური ენების წარმოშობის „სოციოლოგიური“ პრობლემა, კერძოდ ის, რომ მეცნიერული ენის ინდივიდუალური შექმნის მიუხედავად, ეს ენა მაინც გარკვეულ ჯგუფში ვრცელდება და მხოლოდ ამის შედეგად მყარდება. გელათის სკოლის სხვადასხვა ცნობილ და უცნობ ავტორთა მრავალფეროვანი ტექსტების შესწავლით დ. მელიქიშვილმა შეძლო ენობრივი ჯგუფის წარმოშობის შესახებ იმ დასკვნების გამოტანა, რომლებიც შორს სცდება „ელინოფილიის“ უბრალო ცნების საზღვრებს. საკითხის ამგვარი დასმა მომავალში მეტი ყურადღებას იმსახურებს ქართულ ენათმეცნიერებაში და ეხება არა მხოლოდ შუა საუკუნეების ვითარებას, არამედ მე-19 საუკუნესაც, სადაც აქამდე ცალკეული ავტორების განხილვას უფრო ეხვედებით.

დ. მელიქიშვილის მეცნიერული მუშაობა მომავალშიც ყოველწლიურ მხარდაჭერას იმსახურებს“.

სენატის არჩევნები

ნაბო ოზოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში ახალი წევრები აირჩიეს. არჩევნები სენატის შემადგენლობაში განსაზღვრული ვაკანტური ადგილებისა და ვადამდე უფლებამოსილებაზე წევრების ნაცვლად ახალი წარმომადგენლების არჩევის მიზნით ჩატარდა. საარჩევნო კომისიის შემადგამელი აქტის მიხედვით, თსუ-ის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტიდან სოფიო ხუციშვილი აირჩიეს, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტიდან — თამილა ჩალაძე, მიხეილ ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტიდან — მანანა ნიკოლაიშვილი, პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტიდან — მარინა გურგენიშვილი, მაღალი ენერჯიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან



— ნოდარ ლომიძე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან — ილია თავხელიძე, ჰუმანიტარულ მეც-

ნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებიდან — ბექა დვალისვილი, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებიდან კი სანდრო მარანელი.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენატის არჩევნები 12 ივნისს გაიმართა. საარჩევნო კომისიის ზვიად მურადაშვილი ხელმძღვანელობდა.



პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი 75 წლისაა

ნათი ოზოლაძე

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დაფუძნებიდან 75 წელი გავიდა. კვლევითა დაწესებულებამ ეს თარიღი საიუბილეო სხდომითა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციით აღნიშნა. გაიმართა გაერთიანებული საიუბილეო და კონფერენციის პლენარული სხდომა.

სხდომა გახსნა და მოხსენება — „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი 75 წლისაა“ გააკეთა ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა რამაზ აბესაძემ. ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: პროფესორი ანატოლი შვეჩუკი (რუსეთი), ელენე ალენიკოვა (უკრაინა), თსუ-ის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გია ჯაიანი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ს/მ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, პროფესორი ელგუჯა მექვაბინი და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, პროფესორი სოლომონ პავლიაშვილი.

კონფერენცია XXI საუკუნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას — „მწვანე“ ეკონომიკას მიეძღვნა. „მწვანე“ ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე პრობლემების შესახებ ქართველმა მეცნიერებმა უცხოელ კოლეგებთან ერთად იმსჯელეს. კონფერენციაზე წარმოდგენილი კვლევები საქართველოში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, რუსეთში, ყაზახეთსა და სხვა ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების მიმართულებით არსებულ ვითარებას მიეძღვნა. მეცნიერებმა წარმოადგინეს მოხსენებები — „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების აუცილებლობის, დასაქმებასა და შრომის ბაზარზე მისი გავლენის, „მწვანე“ ენერჯეტიკის უპირატესობის, „მწვანე“ ეკონომიკისა და სამშენებლო ბიზნისის ურთიერთგავლენის შესახებ და ა.შ.

ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი რამაზ აბესაძე კვლევაში — „მწვანე“ ეკონომიკა: არსი და გამოწვევები — იმ საფრთხეების შესახებ საუბრობს, რომლის წინაშეც მსოფლიო „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების გარეშე დადგება: „ეკონომიკურმა საქმიანობამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ხდება დედამიწის თითოეული უჯრედის წარმოების პროცესში ჩართვა, რაც დაკავშირებულია გარემოს მდგომარეობის გაუარესებასა და ბუნებრივი კაპიტალის ამოწურვასთან. ბუნებისადმი უყურადღებო დამოკიდებულება გამოიწვევს რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების შემცირებას, გარემოს დაბინძურებას, კლიმატის ცვლილებას, აქტივების უკმარისობას (2025 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა შეიძლება დაიჭრას წყლის უკმარისობისგან, 2030 წლისთვის შეიძლება დაიკარგოს ბიომრავალფეროვნების 10%). ასეთ პირობებში მცირდება ბუნებრივი კაპიტალის მიერ მოწოდებული მომსახურების დონე, რასაც მოჰყვება ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და ცხოვრების დონის შემცირება. ამიტომ, „მწვანე“ ეკონომიკის მთავარი ამოცანა ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნება და განვითარებაა“.

მოხსენებაში პროფესორი რამაზ აბესაძე ყურადღებას ამახვილებს საქართველოში „მწვანე“ ეკონომიკის ფორმირების თვალსაზრისით არსებულ ვითარებაზე. ავტორი ამბობს, რომ ამ მიმართულებით ინსტიტუტის ურჩევანები, გარკვეულწილად, მოზადებულია, თუმცა საქართველო



„მწვანე“ ეკონომიკაზე სწრაფ გადასვლას ვერ შეძლებს, რომ ეს პროცესები დაკავშირებულია ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ინოვაციურ განვითარებასთან.

საინტერესო მოსაზრებები წარმოადგინეს თავის მოხსენებებში პროფესორმა ანატოლი შვეჩუკმა, პროფესორმა ვახტანგ ბურდულმა და სხვებმა. „მწვანე“ ეკონომიკა, ჯერჯერობით, ასევე, ფორმირების ეტაპზეა რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში. ამ ქვეყნებშიც ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი ეტაპობრივად განხორციელდება. პოლიტიკოსები და მეცნიერები ხედავენ იმ გლობალური საფრთხის საშიშროებას, რომლის წინაშეც მსოფლიო ეკონომიკური განვითარების არსებული მოდელის შენარჩუნების შემთხვევაში დადგება, თუმცა, ცვლილებების სწრაფად განხორციელებას ტენდენცია არ შეინიშნება. მეცნიერებმა „მწვანე“ ეკონომიკის განვითარებისთვის საჭირო მთელი რიგი რეკომენდაციებიც წარმოადგინეს.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე — „მწვანე“ ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე პრობლემები — წარმოდგენილი კვლევები ეკონომიკის ინსტიტუტმა კრებულის სახით გამოსცა და, შესაბამისად, დაინტერესებული მკითხველისთვის უკვე ხელმისაწვდომია.

ეკონომიკის ინსტიტუტში 75 წლის საიუბილეო ღონისძიება 21 ივნისს გაიმართა. ინსტიტუტის დაფუძნებასთან ერთად მეცნიერებმა ყურნალ „ეკონომისტის“ გამოცემიდან 10 წელიც აღნიშნეს. ამ დროისთვის 50-ზე მეტი ნომერია გამოცემული, სადაც როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერების კვლევები ქვეყნდება. ყურნალის რეიტინგის ზრდაზე მიუთითებს ის, რომ 2016 წლიდან იგი ERIH PLUS-ის ბაზაშია ინდექსირებული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი 1944 წელს დაარსდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივით, რომელიც ასევე მისი პირველი დირექტორი იყო. შემდეგ დირექტორები იყვნენ აკადემიკოსები ავთანდილ გუნია და ვლადიმერ პაპავა, პროფესორი გიორგი წერეთელი. საიუბილეო მოხსენებაში აღინიშნა მათი განსაკუთრებული წვლილის შესახებ ინსტიტუტის წარმატებებში.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე ინსტიტუტი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრაში. 90-იანი წლებიდან კი გააქტიურდა ისეთი საკითხების კვლევა, რომლებიც დაკავშირებული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობასა და საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირებასთან. ამ კვლევების შედეგებმა ასახვა ჰპოვა ქვეყნის სამთავრობო და საკანონმდებლო დოკუმენტებში. ინსტიტუტში მოღვაწე მეცნიერები მუშაობდნენ საქართველოს მაკროეკონომიკური, სექტორული, რეგიონული და სტრუქტურული განვითარების აქტუალური პრობლემებზე, საქართველოში ბიზნისის განვითარების პერსპექტივებზე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფის გზებზე, საფინანსო და საბანკო სისტემის სრულყოფის საკითხებზე, საქართველოში უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირების პრობლემებზე და ა.შ. ბოლო 5 წლის განმავლობაში ინსტიტუტი მუშაობს დიდ სამეცნიერო პროექტზე — „ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში“, რომელიც მთლიანად პასუხობს მსოფლიოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს — ქვეყნის მდგრადი, ინოვაციური განვითარების მოთხოვნებს. შედეგად გამოქვეყნდა 550-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, აქედან მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ, მათ შორის, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტი ზედიზედ ორჯერ (2009 და 2010 წლებში) გამოცხადდა წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში, რომელსაც ავლენდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რის შემდეგაც ასეთი კონკურსი აღარ ჩატარებულა ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან შეერთების გამო.

ასევე, ინსტიტუტის საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ მიმდინარე წელს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური მრჩეველის, გამოჩენილი მეცნიერის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ჯეფრი საქსის ინიციატივით ინსტიტუტი გახდა გაეროს მდგრადი განვითარების გადამწყვეტილებების საერთაშორისო ქსელის სრულყოფილი წევრი (UN SDSN).

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის, როგორც ერთ-ერთი მთავარი ქართული სამეცნიერო კერის, მნიშვნელობის შესახებ მეცნიერებისა და აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერ აღინიშნა მათ წერილობით მოლოცვაში, რომელიც გამოქვეყნდა საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ ნიგში — „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი — 75“.

„მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტი ყოველთვის ფეხს უწყობს თანამედროვეობას, წარმატებით პასუხობს ახალ გამოწვევებს, ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში: გამოიცემა ჟურნალი „ეკონომისტი“, რომელიც ERIH PLUS-ის ბაზაშია ინდექსირებული და რომლის სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოში იმყოფებიან მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, — აღნიშნავს თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, გიორგი კვეციანი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში ინსტიტუტში განხორციელებული სამუშაოების შესახებ ამახვილებს ყურადღებას: „საყოველთაოდ აღიარებული ინსტიტუტის თვალსაზრისით წვლილი ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებაში, ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების კვლევაში, განუზომელი ღვაწლი დასდო ახალი ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებისა და ეკონომიკური წყაროების წყაროების მეცნიერული პუბლიკაციის საქმეს. ...ახალი და საერთაშორისო დონეზე აღიარებული მიღწევებით ხელდასმევენებული ხვდება ინსტიტუტის კოლექტივი საიუბილეო თარიღს“.

„ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული კვლევა მალაი მეცნიერული დონით გამოირჩევა. ინსტიტუტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ზოგიერთ სხვა სასწავლო-კვლევით დაწესებულებებთან ერთად დიდი ამაგი დასდო კადრების აღზრდას ეკონომიკაში“, — აღნიშნავს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

ეკონომიკის ინსტიტუტის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გახდა. ამ საკითხებზე ინსტიტუტის მესამე დირექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ ისაუბრა. ვლადიმერ პაპავამ ასევე აღნიშნა, თუ რა დამსახურება მიუძღვის ეკონომიკის ინსტიტუტს საქართველოში დემოგრაფიული პრობლემების კვლევის დაწყების მიმართულებით. „არანაკლებ საყურადღებოა, რომ ინსტიტუტში აკადემიკოს პაატა გუგუშვილის თაოსნობით დაიწყო საქართველოს დემოგრაფიული პრობლემების კვლევა, რაც, საბოლოო ჯამში, გახდა იმის საფუძველი, რომ ინსტიტუტის შესაბამისი განყოფილების ბაზაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, დემოგრაფიის ინსტიტუტი შექმნილიყო“, — წერს ვლადიმერ პაპავამ.

„წილად მხვდა პატივი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დავალებით, ბოლო წლებში უფრო ღრმად გაცნობოდი ინსტიტუტის წლიურ ანგარიშგებებს. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად დიდი სირთულეებისა, ინსტიტუტი და მისი მაღალპროფესიონალთა გუნდი ქვეყნისათვის ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის მეტად სასარგებლო და პროდუქტიულ საქმიანობას ეწევა“, — აღნიშნავს აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე.

პაატა გუგუშვილის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს 75 წლის იუბილე აპერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთში, უკრაინაში, იტალიაში, ნიდერლანდებსა და სხვა ქვეყნებში მოღვაწე მეცნიერებამ მიულოცეს.

საიუბილეო სხდომაზე პაატა გუგუშვილის სამეცნიერო პრემიის ლაურეატის დიპლომი გადაეცათ პროფესორებს სოლომონ პავლიაშვილს და ზურაბ გარაყანიძეს. ასევე, ინსტიტუტის საიუბილეო მედლით დაჯილდოვდა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ჯგუფი.



„სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ – VII საერთაშორისო ჯონფარენცია თსუ-ში

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“, რომლის ორგანიზატორია თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, უკვე მეშვიდედ ტარდება და ყოველ წელს ძირითადი თემით არის წარმოდგენილი. წლებადედი თემა გახლდათ „ევროინტეგრაცია, როგორც განვითარების ფაქტორი“.

კონფერენცია 20-21 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ორი დღის განმავლობაში საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (მექსიკა, ბელგია, პოლონეთი, მონტენეგრო, თურქეთი და სხვა) მეცნიერ-მკვლევრებმა წარმოადგინეს ევროკავშირთან ინტეგრაციის მათეული ხედვა, რომელიც პოლიტიკის მეცნიერებების, საზოგადოებრივი გეოგრაფიის, სოციოლოგიის, ურბანისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, საერთაშორისო ურთიერთობების, ეკონომიკის სამეცნიერო კვლევათა არეალში იყო მოქცეული.

კონფერენცია გახსნა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა თამარ დოლბაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ კონფერენციის წლებადედი თემა ეხმარება ქართული სახელმწიფოს განვითარების პროცესს — აუცილებელ სწავლას ევროკავშირისაკენ და მის დახლოებას ევროპულ ინსტიტუტებთან: „2013 წელს ეს იყო ჩემი ინიციატივა — ჩავეტარებინა მსგავსი ფორმატის სამეცნიერო კონფერენცია, რაც ჩვენს მკვლევრებს მისცემდა საშუალებას, დაახლოვდნენ უცხოელ მეცნიერებს, გაეცვალათ იდეები და შემდგომში განხორციელებინათ კიდევ ერთობლივი პროექტები. ეს კონფერენცია არის პლატფორმა სამეცნიერო ინტერესების გამოსახატავად, რომელზეც სხვადასხვა ქვეყნის მკვლევრები თავიანთ იდეებს, თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს. კონფერენცია ასევე გახლავთ ერთგვარი საიმპულსი აქტივობა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტისთვის“, — განაცხადა თამარ დოლბაიამ ჩვენთან საუბარში.



აუდიტორიის წინაშე პირველი წარსდგა პოლონეთის მარი კიური-სკლოდოვსკას უნივერსიტეტის პროფესორი მარეკ პიეტრა. მისი კვლევა — „ევროკავშირი ორდონიანი ცვლილებების გარემოში“ — აერთიანებდა ევროკავშირის წინაშე არსებულ მთავარ გამოწვევებს. „პოლონეთმა ცოტა ხნის წინ აღნიშნა ევროკავშირში განხორციელების 15 წლისთავი. ამ დროის განმავლობაში მრავალი სასიკეთო ცვლილება მოხდა ჩვენს ქვეყანაში. შემოიღდა ვიზა, რომ ამ ეტაპზე ევროკავშირი არის ის მთავარი აქტორი, რომელიც, პოლონური გამოცდილებით, ქვეყნის განვითარების ტურბულენტობას მართავს. ის, თურა პერსპექტივები და გეგმები ექნებათ ქვეყნებს, მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული ევროკავშირის საერთო მაჯისცემაზე“, — აღნიშნა მარეკ პიეტრამ.

უცხოური გამოცდილების გაზიარება იყო ერთ-ერთი მთავარი თემა კონფერენციის მსვლელობისას. აუდიტორიის განსაკუთრებული დაინტერესება მონტენეგროს მაგალითზე მომზადებულმა კვლევამ მიიპყრო. მონტენეგროს უნივერსიტეტის პროფესორმა ბორის ვუკიჩევიჩმა ევროინტეგრაციის გავლენა გამოიკვლია თავისი ქვეყნის პოლიტიკასა და საზოგადოებაზე, რაც განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა ქართული რეალობისთვისაც. „ჩემი მოხსენება ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების გამოწვევებს ეხებოდა. ჩვენ და საქართველოს მსგავსი გზა გვაქვს და, ალბათ, ამიტომაც გახდა ეს საკითხი აუდიტორიისათვის კითხვების საბაზი. მნიშვნელოვანია, მონტენეგროს გამოცდილება საზოგადოებისა და პოლიტიკის, კულტურისა თუ რელიგიურ, ზოგადად, ქვეყნის გამოწვევების კონტექსტში. ბევრი რამ გვაქვს მსგავსი, მაგალითად, ისევე,

როგორც გწყინთ თქვენ, როცა რუსებთან გაიგივებენ, სანწყინა ჩვენი გაიგივება სერბებთან“, — ასეთი ახსნა მოუძებნა ვუკიჩევიჩმა შეკრებილთა ინტერესს.

არანაკლებ აქტუალური გახლდათ ქართველი მკვლევრების მოხსენებები. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორმა მანანა შამილიშვილმა შეკრებილებს გააცნო კარიკატურა, როგორც ნაცისტური სარედაქციო პოლიტიკის ვიზუალიზების ხერხი. კვლევა ეხებოდა შსს-ის არქივში მოძიებული მასალების მიხედვით დამუშავებულ ტექსტებს, რომლებიც 1942-1944 წლებში ბერლინში გამოშვებული გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე იყო დასტამებული. მათი ავტორი კი ერთ-ერთი მსჯავრდებული გახლდათ. „ამ შემთხვევაში გამოვიკვლიე კარიკატურა, როგორც შარუული ენა, მამხილებელი არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა. ეს იყო ძალიან ეფექტური იარაღი ქვეყანაში, რათა ნათლად წარმოეჩინათ ანტიბოლშევიკური დისკურსი და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ხელშესაწყობად გამოეყენებინათ ვიზუალიზების ეს ხერხი — სწორედ ამის ჩვენებს ემსახურება ჩემი მოხსენება“, — აღნიშნა მანანა შამილიშვილმა.

კონფერენციას, მკვლევრებთან ერთად, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. თემები, რომლებზეც გამომსვლელები საუბრობდნენ, თანაბრად აქტუალური და საინტერესო აღმოჩნდა სხვადასხვა ასაკის ადამიანისთვის. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი დიანა ჯაოშვილი ერთ-ერთი, ვინც ევროინტეგრაციის თემით დაინტე-

რესდა: „ვფიქრობ, ეს თემატიკა მნიშვნელოვანია. ის გვაჩვენებს, როგორი უნდა იყოს საქართველოს მომავალი ამ კუთხით და რა პერსპექტივები აქვს ჩვენს ქვეყანას ევროინტეგრაციის გზაზე. ასევე, ჩვენ, სტუდენტებს, გვაძლევს საშუალებას, გავიზაროთ, როგორი შეიძლება იყოს ჩვენი წვლილი“, — აღნიშნა მან.

სწორედ ახალგაზრდებს დაეთმო სამეცნიერო კონფერენციის მეორე სამუშაო დღე — დოქტორანტებს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან საშუალება მიეცათ - გამოეკვლიათ და წარმოედგინათ როგორც ევროინტეგრაციის პროცესის მათეული ხედვა, ასევე ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტები. „ეს სესია ეთმობოდა ახალგაზრდების და, მათ შორის, დოქტორანტების კვლევის შედეგების პრეზენტაციას, რაც ძალიან საინტერესოა ორი კუთხით — უპირველეს ყოვლისა, მათთვის ეს არის მნიშვნელოვანი გამოცდილება, იპოვონ საკუთარი თავი კვლევის პროცესში, მეორე მხრივ, კი ისინი გვიზიარებენ თავიანთ თვალთახედვას“, — განაცხადა დოქტორანტთა სესიის თავმჯდომარე თამარ ქარაიამ. იგი თავადაც უნდა ყოფილიყო კონფერენციის ერთ-ერთი მომხსენებელი. მისი კვლევა საქართველოში სოციალური პროტესტის ტრანსფორმაციის ეხებოდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული ეს კვლევა მიზნად ისახავდა, გაეანალიზებინა, როგორ იცვლებოდა პროტესტის მიზნები, რეპერტუარი, რატომ იყო იგი ადრე ორიენტირებული მასობრივ პროტესტზე და დღეს რატომ გადავიდა ეს ყველაფერი სოციალური ჯგუფების აქტივობებზე. თუმცა, ეს მოხსენება, სხვა ათამდე მოხსენების მსგავსად, აუდიტორიამდე ვერ მივიდა — ორი დღის განმავლობაში ქართული და ინგლისურენოვან სესიებზე დაყოფილი კონფერენციის ტრიბუნა ჯამში 45 მკვლევარს უნდა დათმობოდა, თუმცა, დედაქალაქში განვითარებული მოვლენების გამო, ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, 21 ივნისის ბოლო, ქართულენოვანი სესია აღარ გაიმართა.

თამარ ზარანდია,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

ციფრული ეკონომიკის საფუძვლი ინტელექტუალური როლუქების წარმოება

თანამედროვე გლობალური ცვლილებები გამოწვეულია ინტენსიური სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებით. ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბება გარდაუვალი და პროგრესული მოვლენაა, რომელიც ზემოქმედებს ცოცხალ მატერიაზე და ცვლის ბუნებრივი განვითარების პროცესების მიმდინარეობას. ციფრული ტექნოლოგიები დამოუკიდებლად ზემოქმედებენ ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე, რაც სოციალურ მათი ადგილისა და როლის სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. გლობალიზაციის ტენდენციებმა გამოავლინეს სახელმწიფოს ახალი ფუნქცია, რომელიც ეროვნული ეკონომიკის გაციფრვის კაპიტალ-ტექნოლოგიების არის დაკავშირებული. ციფრულ ეკონომიკაში აქცენტები ინტელექტუალური პროდუქტების წარმოებაზეა გადატანილი, რაც დიდ კაპიტალურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. ამასთან, პრობლემები წარმოიქმნება როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.



რევაზ გველესიანი

ბის გარეშე სანარმოებს არ ძალუძთ წარმატების მომტანი ინოვაციების სწრაფად და მასშტაბურად დანერგვა. ასეთი მდგომარეობა გართულებულია იმითაც, რომ ციფრული ინოვაციების დანერგვა ბაზრებს ანგრევს და იწვევს მრავალ არასასურველ და გაუთვალისწინებელ პროცესებს როგორც სანარმოებისათვის, ასევე მთელი საზოგადოებისათვის. კერძოდ, ინოვაციათა დანერგვის საფუძველზე უმუშევრობის ზრდა სპეციალისტებში, იმიგრაციისა და ემიგრაციის პროცესები და ა.შ. წარმოშობენ სოციალურ აგრესიას, ნიჰილიზმს, დეპრესიებს, ტერორიზმს და საერთოდ წინააღმდეგობებს. ამავე დროს სწორედ ციფრული პროდუქტებისა და მომსახურების მწარმოებლები თვლიან, რომ არამართო თითოეული სპეციალისტის, არამედ თვით კორპორაციისა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნის შინაარსი ყოველდღიურ ზრდასა და სიახლეთა ძიების საფუძველზე განვითარებას განიცდის.

ციფრულ სამყაროში პროგრესი წარმოშობს მოთხოვნას ახალი ტიპის კვალიფიციურ შრომით რესურსებზე. ჩვენი აზროვნების მოსტოდერნისტული პარადიგმა ადამიანთა საზოგადოებას განიხილავს როგორც სხვადასხვა ტიპის აზროვნებისა და ცნობიერების მქონე ადამიანთა ერთობას, რომელშიც კონფლიქტები (შესაბამისად მათი მძიმე შედეგებიც) გარდაუვალია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნებისმიერი პოლიტიკური კონფლიქტის (ყველა დროში და ყველა საზოგადოებაში) სათავე ეკონომიკური ინტერესების, ხოლო მათი მოტივაციის ძირითადი შემადგენელი მატერიალური სარგებლის მიღებაა, მაშინ სრულიად გასაგები ხდება, რომ ახალი ციფრული ერა, რომელიც მოხმარების საგნებისა და მომსახურების სიუხვესა და ხელმისაწვდომობას ქმნის, ადამიანებს საშუალებას აძლევს თანდათანობით აქცენტები არამატერიალური სარგებლის მიღებაზე გადაიტანონ. იგი გაცილებით მაღალ მოტივაციას ქმნის და ინტერესთა კონფლიქტებსაც შინაარსსა და ფორმას უცვლის. მსოფლიოს დიდი ჰუმანისტები განვითარებული ცნობიერების მქონე ადამიანები იყვნენ, რომლებმაც საკუთარი შესაძლებლობების შეცნობასა და გაფართოებაში დაინახეს განვითარება და ადამიანის უზენაესი მიზანი.

ციფრული ცვლილებების საფუძველზე წარმოქმნილი პრობლემები ხშირად წინ უსწრებენ სანარმოებს შესაძლებლობებს — ტრადიციული მენეჯერული კულტურის სტილით მოახდინონ მათზე რეაგირება. ტრადიციული მენეჯერული კულტურა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს სანარმოთა წინაშე წარმოქმნილი პრობლემების დაკონკრეტებას, განსაზღვრასა და ზოგ შემთხვევაში რისკისადმი მიდრეკილებას. ამდენად, ყოველივე ის, რასაც მენეჯმენ-

ტის თეორიასა და პრაქტიკაში ვხვდებით ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში შემაფერხებელ ფაქტორად იქნება ინოვაციების დანერგვისა და მდგრადი განვითარებისათვის. განსაკუთრებით ეს შეეხება განუსაზღვრელობის პირობებში საბაზრო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების გადამწყვეტილებებს. სპეციალისტები, მენარმე სუბიექტები და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ძირუულად იცვლება საყოველთაო გაციფრვის პროცესში, რომელიც უკვე დაწყებულია და ელვის სისწრაფით ვითარდება. ციფრულ სამყაროში განუსაზღვრელობის პირობებში ადაპტირებისათვის მენარმეობას, საზოგადოებასა და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას განვითარების მიმართული უნდა შეცვლა უზენაესი, რაც შეუძლებელია განხორციელდეს ახალი ტიპის აზროვნების (ზრდის მენტალიტეტისა და ახალი კულტურის) გარეშე.

დამატებითი ინფორმაცია:

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრამ ორჯერ მოიპოვა საფაკულტეტო სამეცნიერო-კვლევითი გრანტი: პირველი ექვნიწლია „სოციალური მენარმეობის განვითარების ტენდენციებს საქართველოში“ (2016 წ.), ხოლო მეორე ეხება თანამედროვეობის ისეთ აქტუალურ პრობლემას, როგორცაა „ციფრული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“ (2019 წ.).

რევაზ გველესიანი,
თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი



საინჟინერო-საინფორმაციო უნივერსიტეტი

მედიცინა ქალასიურ საინჟინერო-საინფორმაციო უნივერსიტეტში

7 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა რეზიდენტთა კლინიკური კონფერენცია — „მედიცინა კლასიურ საინჟინერო-საინფორმაციო უნივერსიტეტში“.

კონფერენციის ჩატარების იდეის ავტორი იყო თსუ-ის უროლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი თეიმურაზ ჩიგოგიძე. ამ იდეას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ და თსუ-ის ცენტრალურმა ადმინისტრაციამ.

კონფერენცია გახსნა რეზიდენტთა კლინიკური კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, პროფესორმა თეიმურაზ ჩიგოგიძემ.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ და კონფერენციის მონაწილეებს — რეზიდენტებს, ექიმებს, ლექტორებს და სტუდენტებს წარმატებული მუშაობა უსურვა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაძემ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, პროფესორმა ზაზა ბოხუამ, რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა ნინო ოკრიბელაშვილმა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ, მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო სამსახურის უფროსმა, პროფესორმა გია ლობჯანიძემ.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ როგორც თბილისის, ასევე საქართველოს სხვა ქალაქების წამყვან კლინიკებში მომუშავე რეზიდენტები, მათ შორის — ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი, იოსებ ჟორდანიას სახ. რეპროდუქციოლოგიის ინსტიტუტი, შპს „კანისა და ვენსნეულე-ბათა ს/კ ეროვნული ცენტრი“, ს.ს. „ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი“, პროფესორ მარგველაშვილის სტომატოლოგიური კლინიკა, კლინიკა უნივერსი — რეპროდუქციული მედიცინის ცენტრი, თსუ-ს პირველი საინჟინერო-საინფორმაციო უნივერსიტეტის კლინიკა. შპს კლინიკა „გიდმედი“, სტომატოლოგიური ცენტრი „ალბიუსი“, შპს „ემ ემ ტე ჰოსპიტალი“, გაგუას კლინიკა, შპს „ავთანდილ ყაზბარაშვილის კლინიკა“ — ქ. თელავი. შპს ქუთაისის რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრი.

კონფერენციის პარალელურად მიმდინარეობდა სესიები უროლოგიის,



მეან-გინეკოლოგიის, დერმატო-ვენეროლოგიის, ინფექციურისა და სტომატოლოგიის მიმართულებებით.

აღნიშნულ სესიებს ხელმძღვანელობდა საქართველოს სამედიცინო სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები და მედიცინის ფაკულტეტის სხვადასხვა კათედრის ხელმძღვანელები, პროფესორები: გია ლობჯანიძე, თეიმურაზ ჩიგოგიძე, არჩილ ჩხოტუა, დავით ქოჩიაშვილი, არჩილ ხომასურიძე, ჯენარო ქრისტესაშვილი, მამუკა მარგველაშვილი, ქეთევან გოგილაშვილი, გოგა გალდავა, თინა ქიტუაშვილი.

მოსხენებით გამოვიდა 59 რეზიდენტი. თითოეულ მათგანს გადაეცა კონფერენციაზე მონაწილეობის საინჟინერო-საინფორმაციო სერტიფიკატი.

სესიების მიმდინარეობისას კონფერენციის კლინიკური საკონსულტაციო საბჭოს და საორგანიზაციო საბჭოს მიერ გამოვლინდა რამდენიმე რეზიდენტთა საუკეთესო მოხსენებები, კერძოდ, ვახტანგ ცერცვაძე — თსუ-ის უროლოგიის კათედრის რეზიდენტი მოხსენებით: „ქალებში რადიკალური ცისტექტომიის საკითხისადმი“, შაკო

გოგეშვილი — თსუ-ის უროლოგიის კათედრის რეზიდენტი — „შარდსანვეთების იმპლანტაცია წვრილი ნაწლავის დაბალი წნევის რეზერვუარში“, ნინო ქარაზანაშვილი — თსუ რეზიდენტი — „თირკმლის დიდი ზომის და მარჯვნივ მდებარე კონკრეტების ლიკვიდაცია კომბინირებული ენდოსკოპიური მეთოდით (PCNL/URS კომბინაცია)“, სოფიო აბაზაძე — თსუ უროლოგიის კათედრის რეზიდენტი — „შარდსანვეთის სიმსივნეები“, ეკატერინე გაბაშვილი და ნინო კუპრეიშვილი — თსუ-ის მეან-გინეკოლოგიის კათედრის რეზიდენტები — „ანტიენათალური მეთვალყურეობა ორსულზე, დამძიმებული სომატური, გინეკოლოგიური და სამეანო ანამნეზით“, გიორგი ფაცაცია — გაგუას კლინიკის რეზიდენტი — „მასკულური ლიქენი“, თეონა ჭინჭარაშვილი — თსუ რეზიდენტი, ქ. თელავიდან — „ორსულობის ტრიმესტრში და საკეისრო კვეთის შემდგომ ფიზიომატოლოგიური საშვილოსნოს კონსერვატიული ქირურგიული მკურნალობა“, თინათინი ჩადუნელი — პროფესორ მარგველაშვილის სტომატოლოგიური კლინიკის რეზი-

დენტი — „3D პრინტერი — უკან მომავალში“, მარიამ ხარძიანი — სტომატოლოგიის ცენტრ „ალბიუსის“ რეზიდენტი — „უწყინარი სტომატოლოგიური მანიპულაციები და სიცოცხლისთვის საშიში გართულებები“, ლევან ედიბერიძე — შპს ქუთაისის რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრის რეზიდენტი — „ჭანჭიკოვანი ცემენტით ფიქსაცია დენტალურ იმპლანტოლოგიაში“, ვეფხვაძე პაატა — თსუ-ის ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრის რეზიდენტი — „ნევროლოგიური გართულებები აივ ინფექციის დროს“.

თითოეული მათგანის მიერ წარმოდგენილი მოხსენებების თეზისები ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული იქნება თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ელექტრონულ ჟურნალში — „საქართველოს სამედიცინო ჟურნალი — ტრანსლაციური და კლინიკური მედიცინა“, რომელიც არის ინდექსირებული Google Scholar-ში, crossref-ში და რეგისტრირებულია Researchgate-ში.

რეზიდენტთა კლინიკური კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, პროფესორ თეიმურაზ ჩიგოგიძეს და კონფერენციის მთავარ კოორდინატორს, ასოცირებულ პროფესორს თეიმურაზ დოჭვირს თსუ-ის რექტორმა გადასცა სიგელი აღნიშნული ღონისძიების წარმატებით ჩატარებისთვის.

ასეთმა წამოწყებამ პირველსავე ღონისძიებაზე დადებითი გავლენა მოახდინა ექიმ-რეზიდენტებზე, რომლებიც დაუფარავად გამოხატავდნენ კმაყოფილებას საინჟინერო-საინფორმაციო უნივერსიტეტის სივრცეში ამ ტიპის კონფერენციის ჩატარებაზე. სხვადასხვა კლინიკებში მოღვაწე დამწყებ ექიმებს მიეცათ ურთიერთგაცნობის და თანამედროვე სამედიცინო სიახლეების ურთიერთგაზიარების და ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა.

„ფინანსური აღრიცხვა II“ – ახალი სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მორიგი სახელმძღვანელო გამოცდა — „ფინანსური აღრიცხვა II“.

ნაშრომი მომზადდა ბულალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის თანამშრომლების მიერ, რომლის ხელმძღვანელია პროფესორი ლევან სა-

ბაური. ნაშრომზე მუშაობდნენ: ლევან საბაური, ნადეჟდა კვატაშიძე, იზოლდა ჭილაძე, მარინა მაისურაძე, მარიამ ვარდიანი, ანჟელი ხორავა და ზეინაბ გოგრიჭიანი.

სახელმძღვანელო პრეზენტაცია გაიმართა 27 ივნისს, თსუ-ის მაღლივ კორპუსში. პრეზენტაციას ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორის მოადგილე ნინო ოკრიბელაშვილი, თსუ-ის ადმინისტრაცი-

ციის ხელმძღვანელი ნუნუ ოვსიანიკოვა და მისი მოადგილე ლაშა სალინაძე. შეხვედრა გახსნა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიორგი ლაღინაძემ. ავტორთა კოლექტივს წარმატება მიულოცეს ქალბატონმა ნინო ოკრიბელაშვილმა და ქალბატონმა ნუნუ ოვსიანიკოვამ.

სახელმძღვანელო შესახებ ვრცლად ისაუბრა, პროფესორმა ლევან საბაურმა. სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი იური დოლოძე, სახელმძღვანელო რეცენზენტები ლავრენტი ჭუმბურიძე და ნანა ლემონჯია, საერთაშორისო სააუდიტორო კომპანიის წარმომადგენელი მიხეილ აბაიაძე, სააუდიტორი კომპანიის ხელმძღვანელი გიორგი ცერცვაძე და ბატონი იური პაპასკუა.

სახელმძღვანელო განკუთვნილია მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისთვის, პრაქტიკოსი ბულალტრების, აუდიტორების და ამ სფეროთი დაინტერესებული მკითხველისათვის.



ტსუ-ის სტუდენტები და რეგიონული განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა

21 ივნისის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „რეგიონული განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა“, რომელიც დაფინანსებულია ტსუ-ის სტუდენტური დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს მიერ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ როგორც სტუდენტები, ასევე სამეცნიერო საბჭოს უცხოელი და ქართველი წევრები. კონფერენციის მონაწილეებმა წარმოადგინეს მოხსენებები რეგიონული განვითარების, მდგრადი განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის, დეცენტრალიზაციის, ევროკავშირისა და საქართველოს რეგიონალური განვითარების შესახებ.



კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ერეკლე ზარანდია აღნიშნავს, რომ მსგავსი ტიპის კონფერენციებში სტუდენტების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. „პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ცოდნის ამაღლებას რეგიონული განვითარების პოლიტიკასთან დაკავშირებით, ასევე თემატიკის გარშემო მომზადდეს სამეცნიერო ნაშრომები, რომლებსაც მხარს დავუჭერთ შემდგომ განვითარებასა და სამეცნიერო სტატიად ჩამოყალიბებაში“, — გვითხრა მან.

როგორც ორგანიზატორმა აღნიშნა, კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს როგორც ბაკალავრიატის სტუდენტებმა, ასევე მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება ეკონომიკა იყო, მონაწილეების თემები მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. ღონისძიების ძირითად თემებად მოიხსენებოდა: მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, დეცენტრალიზაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც საჯარო ინსტიტუტი, ეგზოგენური და ენდოგენური განვითარება, ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკა და ა.შ.

გიორგი სარალიძე ტსუ-ის სახელმწიფო და საჯარო მართვის სამაგისტრო პროგრამის II კურსის სტუდენტია. მისი თემა — „ფისკალური და ქონებრივი დეცენტრალიზაცია“, ეხებოდა ფინანსური და სხვა ეკონომიკური რეესტრის თანაბრად გადანაწილებას ცენტრიდან რეგიონების მიმართულებით. „ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ხშირად უმასპინძლონ მსგავსი ტიპის კონფერენციებს. რეგიონალური ეკონომიკის მივიწყება იწვევს იმ მიზეზებს, რომელთა გამოც სწრაფად ვერ ვვითარდებით. რაც შეეხება ქონებრივ დეცენტრალიზაციას, ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრ პრობლემას ვაწყდებით.

სამწუხაროდ, ამ მხრივ, ჯერ კიდევ ვერ შევთანხმებულვართ ერთ კონკრეტულ მოდელზე“, — თქვა მან. მისივე მოსაზრებით, საქართველოს რომელიმე ერთ კუთხეში მიმდინარე მოვლენები აუცილებლად იქონიებს გავლენას ქვეყნის სხვა რაიონში მცხოვრები ადამიანის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. „აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი მსგავსი სახის აქტივობა ჩატარდეს, რათა ხალხმა გაიგოს — ყველა ჩვენგანი ვართ დიდი ორგანიზმის ნაწილები და ამ ორგანიზმის ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მისმა ყველა ორგანომ ჯანსაღად იმუშაოს. ქვეყნის განვითარება დაფუძნებულია იმ აქტივობის

ეფექტურ მართვაზე, რომელთა შემუშავება, მართალია, დედაქალაქში ხდება, თუმცა, განხორციელებაში მთელი ქვეყანა მონაწილეობს“, — ამბობს იგი.

კონფერენციის კიდევ ერთ დადებით მახასიათებლად სადისკუსიო პლატფორმის შექმნას ასახელებს ტსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი ირაკლი დანელია: „მსგავსი აქტივობები შესაძლებლობას გვაძლევს, რომ შეიქმნას ისეთი პლატფორმა სტუდენტებისთვის და სამეცნიერო წრის წარმომადგენლებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერული და პრაქტიკული მოსაზრებების ურთიერთგაცვლას. შემდეგ კი შესაძლებელია, რომ აღნიშნული მოხსენებები სარეკომენდაციო სახით გაეგზავნოს, როგორც აღმასრულებელ ორგანოს, ასევე სამეცნიერო წრეებს შემდგომი საკვლევე თემის იდენტიფიცირებისთვის“.

კონფერენცია დადებითად შეაფასეს პროფესორებმა, მათი თქმით, ეს იყო წარმატებული ღონისძიება, როგორც ორგანიზატორებისთვის, ასევე მონაწილეებისთვის. მსგავსი აქტივობები კი შესაძლებლობას აძლევს აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს, თავიანთი მოსაზრებისა და გამოცდილების გაზიარებისთვის. „კონფერენციაზე წარმოდგენილი თემები იყო საინტერესო და ერთმანეთისგან განსხვავებული. ზოგადად, ყველა კონფერენცია შედეგიანია. ის სტიმულს აძლევს ახალგაზრდას, რომ ჩაება სხვადასხვა აქტივობაში. აქ ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებსა და შეხედულებებს, ინტერესიც მეტად ეზრდებათ“, — გვითხრა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, ასისტენტ-პროფესორმა ლალი ხურციამ. მან სტუდენტებს რეკომენდაციის სახითაც მიუთითა, რომ საკითხის გლობალურად განხილვასთან ერთად, აუცილებელია თემების კიდევ უფრო დეტალურად ჩვენება.

ანა გაჟუნიანიძე,
ტსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

საჯარო ლექცია – „ბავშვის უფლებათა ხონვენცია 30 წლის უბედობა“

ნატო ობოლაძე

წელს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მიღებიდან 30 წელი გავიდა. „ბავშვთა დღის“ აღსანიშნავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა დოქტორმა ლასან ხალილმა საჯარო ლექცია — „ბავშვის უფლებათა კონვენცია 30 წლის შემდეგ“ წაიკითხა. ლექციას აკადემიური წრის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან ერთად სკოლის მოსწავლეებიც ესწრებოდნენ. ლასან ხალილმა „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ პრეისტორიაზე, კონვენციის მნიშვნელობასა და იმ ცვლილებებზე ისაუბრა, რაც დოკუმენტის მიღებიდან 30 წლის განმავლობაში მსოფლიოში განხორციელდა.

„ბავშვის უფლებათა კონვენცია 1989 წელს მივიღეთ და სახელმწიფოებისთვის სავალდებულო, იურიდიულად სამართლებრივი ძალის მქონე დოკუმენტია. ადამიანის უფლებების შესახებ არსებულ ყველა კონვენციას შორის მას რატიფიცირების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს. ამ კონვენციამ კარგი შედეგი გამოიღო, მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტის დროს ლიბიდან და სხვადასხვა ადგილიდან ბავშვების გამოშვება, ასევე გაიზარდა ბავშვებს შორის განათლების მიღების მაჩვენებელი. მინდა აღვნიშნო, რომ ორიგინალში კონვენციის სახელწოდება



ბავშვის უფლებათა კონვენცია“ და არა „ბავშვთა უფლებათა კონვენცია“ — ეს გასათვალისწინებელია, რადგან ქართულ ენაზე თარგმნისას ხშირად იყენებენ ტერმინს — „ბავშვთა“, თუმცა მხოლოდ რიცხვში აღნიშვნა აუცილებელია, რადგან კონვენციის უმთავრესი დანიშნულებაა საკუთარი უფლებებით სარგებლობის საშუალება თითოეულ ბავშვს მიეცეს“, — განაცხადა ლასან ხალილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი გაეროს ბავშვთა ფონდთან 2008 წლიდან თანამშრომლობს. ბავშვთა პრობლემების შესახებ ამ დროის განმავლობაში არაერთი ერთობლივი პროექტი განხორციელდა.

„გაეროს ბავშვთა ფონდთან 10 წელზე მეტია, რაც მჭიდრო ურთიერთობა

გვაკავშირებს. პირველი ღონისძიება 2008 წელს გაიმართა და იგი კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებს ეძღვნებოდა. ფონდის ფინანსური მხარდაჭერით იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულებამ გამოსცა წიგნი — „არასრულწლოვანთა სასჯელებისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები“. დაგეგმილი გვაქვს კიდევ არაერთი ერთობლივი ღონისძიების ჩატარება“, — განაცხადა ტსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების პროფესორმა მაია ივანიძემ.

„ბავშვის უფლებათა კონვენციამ“ ბავშვების მიმართ დამოკიდებულება და აღქმა შეცვალა. დღევანდელ რეალობაში ბევრი სასამართლო გადაწყვეტილებაა, რომელიც ამ აქტით ხე-

ლმძღვანელობს და გადაწყვეტილებები ბავშვთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მიიღება. თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა ამ მიმართულებით და ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები“, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა თამარ ზარანდიამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა დოქტორმა ლასან ხალილმაც გამოთქვა.

ლასან ხალილმა საჯარო ლექცია იურიდიული ფაკულტეტისა და იურიდიულ ფაკულტეტზე არსებული თინათინ ნერეთლის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ორგანიზებით 3 ივნისს წაიკითხა.



ტსუ-ში ახალი სალექციო კურსი „აგროსაკითხების გაშუქება“ დაიწყო

ტსუ-ში 2019 წლის გაზაფხულის სემესტრიდან ახალი სალექციო კურსი „აგროსაკითხების გაშუქება“ დაიწყო. სტუდენტები სპეციალურად აგროსაკითხებით დაინტერესებული პირებისთვის შექმნილი წიგნით იხელმძღვანელებენ და კურსის ფარგლებში შეძლებენ აგრობიზნესის სექტორში გაერთიანებული სხვადასხვა თემატიკის შესწავლას და ამ თემების პროფესიონალურ დონეზე გაშუქებას.



აგროკომუნიკაციისა და სოფლის მეურნეობის თემატიკის გაშუქებით დაინტერესებული ყველა პირისთვისაა შექმნილი.

სახელმძღვანელო „აგროსაკითხების გაშუქება“ (JRC) მიერ შევიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია MERCY CORPS-ის პროგრამის „ალიანსები კავკასიაში“ მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში მომზადდა და „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან“ პარტნიორობით გამოიცა. წიგნის ავტორები კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორები ნათია კუპრაშვილი და ნინო ჭალაგანიძე არიან.

ალსანიშნავია, რომ გუნდმა სასწავლო მოდულზე მუშაობა ჯერ კიდევ წლების წინ დაიწყო, თუმცა ელექტრონულად შექმნილი რიდერი ვერ პასუხობდა გაზრდილ მოთხოვნებს, ამიტომაც მასალა შეივსო და გადაამუშავდა, დაემატა ახალი ნაწილები და ბეჭდური სახით გამოიცა.

„სამწახაროა, რომ მინათმქმედთა უძველეს ქვეყანაში, რასაც მისი სახელწოდება „გეორგია“ ადასტურებს, სოფლის მეურნეობის საკითხების მედიაციაზე არასისტემური და ფრაგმენტული საჭიროება კი — ცხადზე ცხადი. სწორედ ამ დეფიციტის შევსება იქცა ჩვენს მიზნად, როდესაც სასწავლო კურსზე მუშაობა გადაწყვიტეთ. ასე იხილა დღის სინათლე სუთენოვანმა (ქართული, ინგლისური, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული) სახელმძღვანელო „კონსტრუქციული აგრო-ურნალისტიკა“. მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ აგროურნალისტიკა დღეს ქართული მედიასკოლების უმრავლესობის

კურიკულუმების შემადგენელი ნაწილია“, — განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ.

15 სალექციო საათის განმავლობაში სტუდენტები შეძლებენ დაინახონ და გააცნობიერონ აგროსექტორში მიმდინარე პროცესების სისტემატურად გაშუქების აუცილებლობა და მნიშვნელობა, გაეცნონ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგს და შეძლონ ამ სექტორებში არსებული რეალობისა და პრობლემების საზოგადოებრივ მიტანა, რაც ხელს შეუწყობს როგორც სოფლის მეურნეობის განვითარებას, ისე დარგობრივ ჟურნალისტიკის მიმართულებით სტუდენტების ცოდნის დონის ამაღლებას.

„კურსი იძლევა საფუძველს ნიშური აგროსაკითხების წარმოებისათვის, რაც გულისხმობს კონკრეტული დარგის სიღრმისეულ, პერიოდულ და თანმიმდევრულ გაშუქებას. IREX-მა მედიის მდგრადობის ინდექსი გამოაქვეყნა, რომელიც უჩვენებს, რომ ქართული მედიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სწორედ ნიშური მედიის არარსებობა ან სისუსტეა. ეს კურსი კი სტუდენტებს ასწავლის დარგის გაშუქების სტანდარტებს და ავითარებს სპეციფიკურ უნარებს, რაც, ზოგადად, სოფლისა და სოფლის მეურნეობის გაშუქებას უკავშირდება“, — აღნიშნა ნათია კუპრაშვილმა.

უნივერსიტეტში ახალი საგნის გამოჩენას სტუდენტები დიდი ინტერესით შეხვდნენ. ეს სალექციო კურსი 50-ზე მეტმა სტუდენტმა აირჩია, რომელთაც მასტერ-კლასი შევიცარიის მხარდაჭერილი „სამხრეთ კავკასიის ალიანსების“ პროგრამის ხელმძღვანელმა ჰელენ ბრედბერმა 2 აპრილს ჩაუტარა. ჰელენმა საქართველოს მდიდარ კულტურაზე, ტრადიციებზე,



ტურიზმზე, საქართველოში განვითარებულ სოფლის მეურნეობის დარგებსა და აგროსექტორის მნიშვნელობაზე ისაუბრა, შეხვედრის დასასრულს კი სტუდენტებს ჩვენაც მისცა: „ოყავით განსხვავებულები, დაინახეთ ის, რისი დანახვაც სხვას არ შეუძლია“.

როგორც III კურსის სტუდენტმა ნინო ნვერავამ აღნიშნა, ამ ლექციის მოსმენის შემდეგ კიდევ უფრო დაინტერესდა აგროურნალისტიკით და იმედოვნებს, რომ ამ საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნა დაეხმარება სოფლის მეურნეობის საკითხების სიღრმისეულ გაშუქებაში.

აქტიური სალექციო კურსის განმავლობაში, თეორიულ მასალასთან ერთად სტუდენტები პრაქტიკულ აქტივობებსაც ახორციელებენ. ლექტორთან ნანა ტალახაძესთან ერთად ჩართულები არიან ლექციის მსვლელობის პროცესში და აგროსაკითხებით დაინტერესებულ პირებთან შეხვედრებსა და გასვლით ღონისძიებებსაც გეგმავენ.

ნათალია პატარაკაძე,
ანი დეკანოზიძე
ტსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები

პოლონეთა ბაღი აკვასიაში

პრეტენზია ბაროზილი

საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში გადასახლებულ პოლონელთა ცხოვრებაზე კვლევა დღემდე გრძელდება. „პოლონეთა ბედი კავკასიაში“ — ამ სახელწოდებით გამოიცა წიგნის პირველი ნაწილი, რომლის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. პრეზენტაციას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მარიუშ მასკვეიჩი, თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.



არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლონისტიკის ცენტრი, პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში და საქართველოს პოლონეთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „პოლონია“.

წიგნის „პოლონეთა ბედი კავკასიაში“, პრეზენტაცია მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ დღეს ჩვენ ვისხენებთ იმ ადამიანებს, რომლებიც კავკასიაში თავიანთი სურვილის საწინააღმდეგოდ მოხვდნენ, თუმცა, შემდეგ მათთვის საქართველო მეორე სამშობლოდ იქცა. საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის კულტურის განვითარების პროცესში პოლონელებმა დიდი კვალი დატოვეს. წიგნში საინტერესოდ არის გადმოცემული პოლონელების ყოფა საქართველოში, კავკასიაში მათი პოეტური დასის დაარსება და ის ურთიერთობა, რომელიც წლების მანძილზე ქართველებსა და პოლონელებს შორის ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ ამ ორი ერის ურთიერთობა და ხედვა დამყარებული იყო დამოუკიდებლობის პრინციპებზე. მისასალმებელია, რომ ეს ურთიერთობა დღესაც გრძელდება. 18 პოლონური უნივერსიტეტი მონაწილეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გატეხილ პროგრამებში“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.


საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მარიუშ მასკვეიჩის თქმით, „მე-19 საუკუნეში საქართველოში ბევრი პოლონელი ცხოვრობდა, მათ შორის პოეტები და მწერლები, რომლებმაც მნიშვნელოვანი შემოქმედებითი კვალი დატოვეს საქართველოში. მინდა აღვნიშნო, რომ

თავისი ნაწარმოებების საშუალებით პოლონელები ცდილობდნენ საქართველოს ისტორიასთან ახლოს ყოფილიყვნენ“, — აღნიშნა მარიუშ მასკვეიჩმა.

როგორც პრეზენტაციაზე მარია ფილინამ აღნიშნა, წიგნის შექმნის ისტორია თითქმის 30 წელს ითვლის. „კავკასიასა და საქართველოში 1830-1850-იან წლებში გადმოსახლებული პოლონელების შესახებ მასალები ჩემი კვლევების შედეგად დაგროვდა, ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც დისერტაციაზე ვმუშაობდი. თვალწინ მედგნენ XIX საუკუნის შუა წლებში გადმოხვეწილი პოლონელი ახალგაზრდები, რომლებიც სამშობლოს და ახლობლებს მოწყვიტეს. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მათი ხსოვნის პატივსაცემა მევალებოდა. ეს ადამიანები ნამდვილად იმსახურებენ პოლონეთის ტრაგიკული ისტორიის მოზაიკაში ჩანერას“, — აღნიშნა მარია ფილინამ.

„ჩემთვის დიდი პატივი იყო იმ ადამიანების შემოქმედებას გაცნობოდი, რომლებმაც თვითგადარჩენის საშუალებად ლიტერატურა აირჩიეს. წიგნზე მუშაობა ძალიან საინტერესო იყო, ჩემთვის მნიშვნელოვან მასალებს გავეცანი, მიხარია, რომ ამ პროცესის ნაწილი გახვდი და შესაძლებლობა მომეცა ქართველი მკითხველისთვის მათი სახელები გამეცნო“, — აღნიშნა მათომ ბედუკაძემ, რომელმაც პრეზენტაციაზე თავისი თარგმანებიდან ნაწყვეტები წაიკითხა.

წიგნის პირველი ნაწილის შესავალში აღნიშნულია, რომ პოლონელები ძველ-თავანე სხვადასხვა მიზეზის გამო კავკასიაში ხვდებოდნენ. პოლონეთა ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფი საქართველოში



1830-1850 წლებში მოხვდა, რომლებიც პოლიტიკური ნიშნით გადმოსახლდნენ. კავკასიასა და საქართველოში არ არსებობს მეცნიერებისა და კულტურის დარგი, რომელშიც პოლონელებს თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი არ გამოემჟღავნებინათ: პოლიტიკა, სამხედრო საქმე, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა და სხვა. თბილისის დღესაც ამშვენებს ოპერისა და ბალეტის თეატრი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობა, რომელთა დაპროექტებასა და მშენებლობაში პოლონელი არქიტექტორები მონაწილეობდნენ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მოღვაწეობდნენ ასევე ლიტერატორები, მუსიკოსები, ეთნოგრაფები, ისტორიკოსები, რომლებმაც ქართული საზოგადოება პოლონურ კულტურას, თავიანთი თანამებამელები კი კავკასიურ სამყაროს აზიარეს. პოლონეთა მოღვაწეობამ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას.



დათო მაღრაძის პოემის – „ჯაკომო პონტი“ – თარგმანების პრეზენტაცია

მართალია ბაროკო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და სსიპ ჩერქეზული კულტურის ცენტრის ინიციატივით დათო მაღრაძის პოემის — „ჯაკომო პონტი“ — თარგმანების პრეზენტაცია გაიმართა, რომელმაც საუნივერსიტეტო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნიგნი აფხაზურ და ოსურ ენებზე თარგმნეს სოხუმელმა, ცხინვალელმა და თბილისელმა სპეციალისტებმა. როგორც ლონისძიებზე ითქვა, ეს ფაქტი, კიდევ ერთხელ, დადასტურებდა იმისა, რომ შემოქმედებითი და კულტურული ტრადიციები ამ ხალხებს შორის დღესაც წარმატებით გრძელდება. თარგმანები ირმა ოსია-კინწურაშვილს, მინაზ ლაზბას, ლარისა ტუმნაყვასა და ნაირა ბეპიევას ეკუთვნის. ნიგნი იორდანიში დაიბეჭდა.

ალსანიშნავია, რომ პოემა „ჯაკომო პონტი“ უკვე ნათარგმნია არაერთ ენაზე, მათ შორის, გერმანულად, ინგლისურად, შვედურად, თურქულად, რუსულად, იტალიურად და სხვა ენებზე. როგორც ლონისძიებზე აღინიშნა, ახალი თარგმანები კავკასიელ ხალხთა ურთიერთობებს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. პოემის აფხაზურად მთარგმნელის ირმა ოსია-კინწურაშვილის თქმით, კრებული აფხაზეთშიც გაიგზავნა.

„მოგესხენებათ, აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზური მეორე სახელმწიფო ენაა და მას გაფრთხილება, დახმარება და განვითარება სჭირდება, ამიტომ ყველაფერი, რაც ქართულიდან აფხაზურ ან აფხაზურიდან ქართულ ენებზე ითარგმნება, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ურთიერთობებისთვის. ამიტომაც პოეტ დათო მაღრაძის ნიგნის თარგმანს აფხაზეთში დადებითად შეხვდნენ და დიდი მოწონებაც დაიმსახურა“, — განაცხადა პოემის აფხაზურად მთარგმნელმა ირმა ოსია-კინწურაშვილმა.


თსუ-ის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, „ჯაკომო პონტის“ ოსურ ენაზე მთარგმნელის ნაირა ბეპიევას აზრით, პოემაში გადმოცემულია მაღალი საკაცობრიო ღირებულებები, რაც ყველასთვის საერთოა. „თსუ-ის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ინიციატივით გამოიცა ოსი მწერლების ნაწარმოებები ქართულ ენაზე, ითარგმნა თანამედროვე მწერლების მოთხრობები და კლასიკის მწერალთა შემოქმედებაც. ის ფაქტი, რომ ჩვენ ამ ენებზე



თარგმანები წარმოვადგინეთ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩვენ აქტიურად ვაგრძელებთ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებს და თანამშრომლობას ოს, აფხაზ, ჩერქეზ და კავკასიაში მცხოვრებ სხვა ხალხებთან, რაც დღეს ძალიან მნიშვნელოვანია“, — განაცხადა ნაირა ბეპიევამ.

„ალსანიშნავია, რომ „ჯაკომო პონტი“ ნათარგმნია აფხაზურ, ოსურ და ჩერქეზულ ენებზე. რთულმა პერიოდმა ჩვენ ერთმანეთს დაგვაშორა, ამიტომ

ნიგნს მართლმადიდებლური რელიგიის არსის აღქმისთვის, ასევე, მნიშვნელოვნად აფასებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი ირაკლი ბრაჭული: „ჩვენში (საქართველოში), ბიზანტიური თეოლოგიის ათვისება მაღალ დონეზე გვექონდა დაყენებული. მას შემდეგ რამდენიმე საუკუნე გავიდა. შეუძლებელია, რომ მართლმადიდებლურ თეოლოგიაში არ იყოს ახალი პროცესებისა და ასპექტების გამოვლია დაწყებული. ეს საკითხი არსებითად დაკავშირებულია იოანე ზიზი ულასის ნიგნთან. ავტორი ამბობს, რომ XX საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი თეოლოგიური ტექსტი არის ანტუან დე სენტ-ევიჟიუპერის „პატარა უფლისწული“. ეს ფაქტი თავად მეტყველებს, თუ რამდენად ღიაა თეოლოგია კულტურის და, ზოგადად, ადამიანური ყოფიერების ასეთი მნიშვნელოვანი სფეროებისადმი.“



აუცილებელია კულტურული ურთიერთობების გამყარება, რათა ამ ხალხმა ერთმანეთი თავიდან „აღმოვაჩინოთ“ და „გავიცნოთ“, — აღნიშნა ენის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ალიბეგაშვილმა.

პოეტ დათო მაღრაძის თქმით, პოემაში აღწერილია ხელოვანის თავგადასავალი ძალადობრივ სახელმწიფოში, რომელიც აგრესიულ-პროვინციული გარემოთია შეზავებული. „ეს პოემა თავისუფალ სივრცეში დაიბადა და ასევე თავისუფალ სივრცეში ითარგმნა... მართალია, ნიგნი 2009 წელს დაინერა, მაგრამ, ჩემი აზრით, დღესაც აქტუალურია. მნიშვნელოვანია, რომ ნიგნი ოსურად ეთნიკურმა ოსებმა თარგმნეს, აფხაზურად — ეთნიკურმა აფხაზებმა, ჩერქეზულად — ეთნიკურმა ჩერქეზებმა. ეს არ არის ქართული ინიციატივა, ეს არის სახელოვნებო სამყაროს წიაღში გაჩენილი ბუნებრივი მოთხოვნილება და იმედია, საინტერესო იქნება აფხაზი, ოსი, ჩერქეზი, კავკასიელი მკითხველისთვის, ისევე, როგორც ამერიკელისთვის, უნგრელისთვის, თურქისთვის, იტალიელისთვის“, — აღნიშნა მაღრაძემ.

მსოფლიოში ცნობილი მართლმადიდებელი თეოლოგის იოანე ზიზი ულასის ახალი ნიგნი ქართულ ენაზე გამოიცა

ნაბო ობოლაძე

მსოფლიოში ცნობილი მართლმადიდებელი თეოლოგის იოანე ზიზი ულასის ახალი ნიგნი — „თანაზიარება და სხვადა ყოფნა. სწავლება პიროვნულობასა და ეკლესიაზე“ — უახლეს მომავალში ქართულ ენაზე გამოიცემა. ნიგნი აქტუალურია, რადგან პასუხობს თანამედროვე ადამიანის სულიერ მდგომარეობასა და მოთხოვნებს. იოანე ზიზი ულასი განიხილავს სისტემურ ღვთისმეტყველებას, თეოლოგიის ძირითად საკითხებს, საუბრობს ღმერთის რაობაზე და იმაზეც, თუ რაში გამოიხატება მისი არსებობა. ფილოსოფოსები, თეოლოგები და სასულიერო პირები იოანე ზიზი ულასის ნაშრომის წაკითხვას საზოგადოების ყველა წარმომადგენელს ურჩევენ, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც თანამედროვე პერიოდში თეოლოგიის მიმართულებით ქართულ ენაზე სამეცნიერო ნაშრომები ნაკლებად ქვეყნდება.

„ავტორი კრიტიკულად განიხილავს ქრისტიანობაში გავრცელებულ მიმართებას ადამიანისადმი. ის საყვედურები, რომელსაც ამ საკითხებისადმი საუკუნეებია გამოთქვამდნენ ფილოსოფოსები, ხელოვანები, თეოლოგები, დღესაც აქტუალურია.

წინამდებარე ნიგნი გარკვეული მნიშვნელობით აპოლოგეტიკურიცაა, ცდილობს და საუკეთესოდაც გამოხდის



გიორგი წეროძე

— თანამედროვე სამყაროში დაიცვას ღმერთის იდეა, ქრისტიანული მონაპოვარი, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცხოვრებაში. ამ მიზნის მისაღწევად ავტორი არ ერიდება და აკრიტიკებს ეკლესიის მიერ არჩეულ ვექტორს — „ღვთისადმი მორჩილებას“ და მიიჩნევს, რომ მას ამისგან კარდინალურად განსხვავებული — „სიყვარულის უპირატესობის“, ნებისმიერი პიროვნულობისადმი მსახურების გზა უნდა აერჩია. მაშინ ათეიზმისა და ადამიანის სურვილი — „ღმერთისაგან განთავისუფლება“ თავიდან იქნებოდა აცილებული. ზოგადად ამ ტიპის სახელმძღვანელოების წაკითხვა მხოლოდ სპეციალისტებს აინტერესებთ. მიტროპოლიტ

იოანეს ეს ნაშრომი კი განსხვავებული სახითაა დაწერილი და მისი გაცნობა ერთნაირად დაინტერესებთ არა მარტო თეოლოგებს, ფილოსოფიის ისტორიის, ლიტერატურის, ფსიქოლოგიის თუ სხვა ჰუმანიტარული სფეროს წარმომადგენლებს, არამედ ეკლესიის ნებისმიერ წევრს. ავტორი თითქმის 60 წლამდე საერო პირი იყო და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. ამის შემდეგ გამოარჩიეს სასულიერო პირად. იგი მრავალი ევროპული უნივერსიტეტის პროფესორია“, — განაცხადა იოანე ზიზი ულასის ნიგნის თარგმნის პროექტის ორგანიზატორმა, თსუ-ის ფილოსოფიის მიმართულების დოქტორანტმა, მღვდელმა გიორგი წეროძემ.

ნიგნში თეოლოგიურ საკითხებზე მსჯელობა მიმდინარეობს XX საუკუნის ისეთი დიდი მოაზროვნეების დამონებითა და ციტირებით, როგორებიც არიან: მარტინ ჰაიდეგერი, ჟან-პოლ სარტრი, ემანუელ ლევინასი, მარტინ ბუბერი და სხვები. მისი ნააზრევი ასევე ეყრდნობა კაბადოკიელი მამების (წმ. ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელის), მაქსიმე აღმსარებლის და შორეული თუ ახლო პერიოდის ქრისტიან ღვთისმეტყველთა ტექსტებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი დემურ ჯალალონია იოანე ზიზი ულასის ნაშრომის ქართულ ენაზე გამოცემას მნიშვნელოვან შენაძენად აფასებს.



ილია ჯავახიშვილის სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის 100 წლის იუბილე

შენიშვნა 100

გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1968 წელს დაარსდა. გასული წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტში ფართოდ აღინიშნა ინსტიტუტის 50 წლის იუბილე. დაარსებისას ინსტიტუტის სტრუქტურა განისაზღვრა 10 განყოფილებით. მათ შორის იყო მათემატიკური ლოგიკისა და ალგორითმების თეორიის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შალვა ფხაკაძე. მისი დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა ინსტიტუტში ჩატარებული ერთდღიანი სამეცნიერო სესია და ასევე გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების სექცია ინსტიტუტის სემინარის XXXIII საერთაშორისო გაფართოებულ სხდომაზე. 2019 წლის 10-14 სექტემბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდება ამავე თარიღისადმი მიძღვნილი თბილისის საერთაშორისო საზღვარგარეთ სკოლა „ლოგიკა, ენა, ხელოვნური ინტელექტი“.



სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): ბორის ხვედელიძე, ელენე ობოლაშვილი, ილია გეგუა, რევაზ კორძაძე, თედორე ცხადაია, გვანჩი მანია. **დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ):** გურამ ხარატიშვილი, ვახტანგ ულენტი, ამირან გეთია, ალექსანდრე ხვოლესი, შალვა ფხაკაძე, თენგიზ გეგელია (გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, 1968)

შალვა სამსონის ძე ფხაკაძე დაიბადა 1919 წლის 7 აპრილს, ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარაში. მან წარჩინებით დაამთავრა ზედა საქარის დაწყებითი სკოლა (1930), შემდეგ ზესტაფონის საშუალო სკოლა (1933 წ.), ზესტაფონის პედაგოგიური სასწავლებელი (1936 წ.), და ბოლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1941 წ.). სადიპლომო ნაშრომი — „დიფერენციალური განტოლებების გეომეტრიული თეორიის შესახებ“ — დაიცვა აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის ხელმძღვანელობით.

შალვა ფხაკაძე 1942-1952 წლებში ზესტაფონის რაიონის სხვადასხვა სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. ამასთან, 1944-1949 წლებში შეთავსებით იყო ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტი და აღნიშნული განყოფილების მათემატიკურ სექციის ხელმძღვანელობდა.

1949 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვლადიმერ ჭელიძის ხელმძღვანელობით შალვა ფხაკაძემ დაიწყო ინტეგრალთა თეორიისა და სიმრავლეთა თეორიის შესწავლა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ინტენსიური მუშაობა ზომის თეორიაში. 1952 წლის იანვარში იგი მოხსენებით გამოვიდა ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ფუნქციონირების თეორიის განყოფილების სემინარზე, სადაც მის მიერ მოხსენებული იქნა მისი კვლევის ძირითადი შედეგები, ამასთან, დასვა ახალი ამოცანები ლებეგის ტიპის ზომათა თეორიასთან დაკავშირებით. აქვე, ვ. ჭელიძის რჩევით, შ. ფხაკაძემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნაწილი თავისი შრომებისა, კერძოდ ის, რომელიც ეხებოდა ფუბინის თეორემის სამართლიანობის საკითხს ორჯერად ინტეგრალში ინტეგრების რიგის შეცვლასთან დაკავშირებით, გაფორმებინა სადისერტაციო ნაშრომის სახით. ხსენებული მოხსენების საფუძველზე იგი იმავე წელს მიიწვიეს ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად (1952 წ.), სადაც დაასრულა საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობა, რომელიც წარმატებით დაიცვა 1953 წელს.

1953 წელს მან გააკეთა რამდენიმე მოხსენება მოსკოვში, ვ. მ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში აკადემიკოს პ. ს. ნოვიკოვის სემინარზე, ჩამოაყალიბა მის მიერ დასმული ამოცანები და წარმოადგინა საკუთარი

შედეგები. მთლიანად სემინარისა და კერძოდ, პ. ს. ნოვიკოვის დადებითმა რეაქციამ შალვა ფხაკაძეს მისცა სტიმული მიზანმიმართულად გაეგრძელებინა ნაყოფიერი კვლევითი საქმიანობა არჩეული მიმართულებით.

1953 წლიდან შალვა ფხაკაძე ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. სადოქტორო დისერტაცია „ლებეგის ტიპის ზომათა თეორიისათვის“ მან წარმატებით დაიცვა 1959 წელს, 1965 წლის იანვარში კი მიენიჭა პროფესორის წოდება. თავისი მოღვაწეობის ამ პერიოდში შალვა ფხაკაძემ მიიღო მნიშვნელოვანი შედეგები სიმრავლეთა ზოგად თეორიაში და, კერძოდ, ზომის თეორიაში.

იმასთან დაკავშირებით, რომ მათემატიკისა და ავტომატების თეორიის განვითარების შედეგად გასული საუკუნის 60-იან წლებში გაიზარდა მათემატიკური ლოგიკის სპეციალისტების საჭიროება, შალვა ფხაკაძე მთელ თავის ძალებს ახმარს რესპუბლიკაში მათემატიკური ლოგიკის დაფუძნება-განვითარების საქმეს. 1966 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე იგი კითხულობდა ლექციების ზოგად და სპეციალურ კურსებს მათემატიკურ ლოგიკაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში აკადემიკოს ილია ვეკუას ხელშეწყობით და შალვა ფხაკაძის ხელმძღვანელობით, საქართველოში პირველად შეიქმნა მათემატიკური ლოგიკისა და ალგორითმების თეორიის განყოფილება, რომელიც მან ძირითადად დააკომპლექტა თავისივე სტუდენტებით. ამ პერიოდში შალვა ფხაკაძემ დაიწყო ახალი ორიგინალური მიმართულების განვითარება მათემატიკურ ლოგიკაში, რაშიც ჩართო თავისი მოწაფეები (ო. ჭანკვეტაძე, ხ. რუხაია, ვ. ფხაკაძე, ზ. ხასიდაშვილი). გარდა ამისა, მათემატიკური ლოგიკისა და ალგორითმების თეორიის განყოფილებაში კვლევა მიმდინარეობდა დამტკიცებათა თეორიაში (მ. როგავა, ი. ცხადაძე), ალგორითმების თეორიაში (რ. ომანაძე, მ. თეთრუაშვილი), ავტომატების და ავტომატურ მტკიცებათა თეორიაში (ნ. კალანდარიშვილი, ვ. ფხაკაძე), ზომისა და სიმრავლეთა თეორიაში (ა. ხარაზიშვილი, ა. ყიფიანი). აღნიშნული მიმართულებებით მათემატიკური ლოგიკის ფარგლებში მიღებული შედეგები ძირითადად ასახულია შალვა ფხაკაძის მონოგრაფიაში „აღნიშვნათა თეორიის ზოგიერთი საკითხი“. ეს ნაშრომი, რომელსაც დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს, ფაქტობრივად, ქმნის შემამოკლებელ სიმბოლოთა თეორიას, რომელიც მანამდე არსებობდა როგორც განსაზღვრებათა

თეორიის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი. ნაშრომში მოქმენილია შემამოკლებელ სიმბოლოთა შემოღება, გარკვეული აზრით რაციონალური სისტემა, შემუშავებულია ტერმინოლოგია და დამტკიცებულია ძირითადი თეორემები შემამოკლებელ სიმბოლოთა და შემოკლებულ ფორმათა ძირითადი თვისებების შესახებ. მის მიერ დასმული აქტუალური ამოცანების საფუძველზე მისი მოწაფეები დღესაც აგრძელებენ შემამოკლებელ სიმბოლოთა თეორიის შემდგომ განვითარებას (ხ. რუხაია, ვ. ფხაკაძე, ლ. ტიბუა).

შალვა ფხაკაძისა და მისი მოწაფეების შედეგებით დაინტერესდნენ არა მხოლოდ თეორეტიკოსები, არამედ მათემატიკის გამოყენებითი დარგების სპეციალისტებიც. მაგალითად, 1979 წელს დაიდო ხელშეკრულება ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტსა და უკრაინის მეცნიერთა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტს შორის, რომელიც ითვალისწინებდა თანამშრომლობას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკის ლოგიკისა და ალგორითმების თეორიის განყოფილებასა და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ცენტრულ ავტომატთა განყოფილებას შორის. ზემოთ აღნიშნულ მონოგრაფიაში მოყვანილი შედეგები და შალვა ფხაკაძის მოწაფეთა მიერ იმავე პერიოდში მიღებული შედეგები უკვე 1978 წელს მოიხსენიეს საკავშირო სიმპოზიუმზე „ხელოვნური ინტელექტი და გამოკვლევათა ავტომატისაცია მათემატიკაში“ (ქ. კიევი) და 1979 წელს გოტლიბ ფრეგეს ხსოვნისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე (ქ. იენა). ამ მოხსენებათა შედეგად გამოკვეთილმა ინტერესებმა განაპირობა სამეცნიერო კონტაქტების შემდგომი გაფართოება. ასე, მაგალითად, სწორედ ამ მოხსენებათა საფუძველზე შემდგომ ჩამოყალიბდა მჭიდრო კონტაქტი ადგილობრივ ლოგიკოსთა ჯგუფსა და ირკუტსკელ მათემატიკოსების ჯგუფს შორის, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ვ. მატროსოვი. აღნიშნული მონოგრაფიით განსაზღვრული მიმართულების მნიშვნელობას ადასტურებს ფ. ვან რამსდოკის სადოქტორო დისერტაცია (1996 წ., ამსტერდამი), სადაც ფხაკაძისული შემამოკლებელ სიმბოლოთა თეორია, ცნობილი მათემატიკოსის პ. აქსელის ნაშრომთან ერთად, შეფასებულია როგორც პირველწყარო თერმთა გადამწერის დაბმულცვლადებიანი შემთხვევისათვის.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შალვა ფხაკაძის გამოსვლამ ჩორჩის თეზისის კრიტიკით ლოგიკოსთა VI საკავშირო კონფერენციაზე (1983 წ.). ამ მიმართულებით მიღებულ შედეგებს ძირითადად მოიცავს მისი ნაშრომი

„ინტუიციურად გამოთვლადი ყველგან განსაზღვრული ფუნქციის ერთი მაგალითი და ჩორჩის თეზისი“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984 წ.). მასში განიხილება მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხი ჩორჩის საყოველთაოდ ცნობილი თეზისის სამართლიანობის შესახებ.

შალვა ფხაკაძე ინტენსიურ სამეცნიერო კვლევით მუშაობას კარგად უთავსებდა პედაგოგიურ საქმიანობას. 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იგი მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უმაღლესი მათემატიკის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე (1962-1972 წწ.), 1962 წლიდან კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შერწყმა განსაკუთრებით ეფექტური გახდა თსუ-ში გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში მოღვაწეობის დროს, ინსტიტუტში, რომლის შექმნის ინიციატორის — ი. ვეკუას მთავარი მიზანი იყო ბაზის შექმნა მეცნიერების, პედაგოგების, ასპირანტების და სტუდენტების ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისთვის. ინსტიტუტში შალვა ფხაკაძე ხელმძღვანელობდა ასპირანტებსა და მაძიებლებს. მის მოსწავლეთა შორის არის 2 მეცნიერებათა დოქტორი (აკადემიკოსი ს. ხარაზიშვილი და რ. ომანაძე) და 6 მეცნიერებათა კანდიდატი (მ. თეთრუაშვილი, ხ. რუხაია, გ. კობახიძე, ზ. ხასიდაშვილი (ამჟამად ისრაელში მოღვაწეობს), ო. ჭანკვეტაძე და თ. კუციანი (ამჟამად ავსტრიაში მოღვაწეობს)).

უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამივე საფეხურის სტუდენტები დღესაც სარგებლობენ შალვა ფხაკაძის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებით.

შ. ფხაკაძე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. იგი წლების განმავლობაში იყო სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს, მათ შორის სპეციალიზირებულ სადოქტორო და საკანდიდატო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოების წევრი. იყო საქართველოს მათემატიკისა და მექანიკის პრობლემური საბჭოს წევრი, კერძოდ, ამ საბჭოს მათემატიკური ლოგიკის სექციის თავმჯდომარე და მეთოდისტი სექციის წევრი. გარდა ამისა, გახლდათ ვ. მ. კომაროვის სახელობის სკოლა-ინტერნატის მზრუნველთა საბჭოს წევრი. ხანგრძლივი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის გამო, მას 1967 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1979 წელს 60 წლის იუბილეზე გადაეცა ივანე ჯავახიშვილის მედალი.

შალვა ფხაკაძე გარდაიცვალა 1994 წლის 8 აგვისტოს (დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში). თუმცა, ის საქმე, რასაც მან ილია ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ფარგლებში გზა გაუკვალა, დღესაც წარმატებით ვითარდება ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ, რის გამოც მისი დაბადებიდან 100 წლის თავზე კიდევ ერთხელ ღირსეულ პატივს მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას.

გიორგი ჯაიანი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ-ის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი

სიმონი რუხაია,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორიის გამგე





ჯემალ მებონია – 80



დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა თსუ-ის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ბატონ ჯემალ მებონიას. ბატონი ჯემალი უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ასპირანტურის და სტაჟირების წლებს გადის მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1967 წელს იცავს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს, 1985 წელს კი — მეცნიერებათა დოქტორის.

1966 წელს ბატონი ჯემალი მუშაობას იწყებს თსუ-ის ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიაში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ლაბორატორიის მალაი ენერჯების ფიზიკის ინსტიტუტად გარდაქმნის შემდეგ — ბირთვული რეაქციების ლაბორატორიების გამგედ. 1986 წელს ბატონი ჯემალი აირჩიეს ფიზიკის ფაკულტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის პროფესორად, 1995 წელს — კათედრის გამგედ. 1989-2005 წლებში იყო თსუ-ის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, თსუ-ის დიდი საბჭოს წევრი, თსუ-ის პროფესორთა საბჭოს წევრი, თსუ-ის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი

სპეციალიზირებული საბჭოს წევრი. არის ორი წიგნის „ატომური ფიზიკა“ და „ბირთვული ფიზიკა“ ავტორი. 1967 წლიდან კითხულობდა ლექციებს ზოგადი და თეორიული ფიზიკის კურსებში ფიზიკის, ქიმიის და კიბერნეტიკის ფაკულტეტების სტუდენტებისთვის; ხელმძღვანელობდა სამეცნიერო და სასწავლო სემინარებს, ასპირანტებს და მაგისტრანტებს; ჰყავდა ნიჭიერი და პერსპექტიული სტუდენტები, მათ შორის, სამეცნიერო ხარისხის მქონენიც.

ბატონი ჯემალი ქვეყნის წინაშე ვალდებული პიროვნებაა, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საგანმანათლებლო-სამეცნიერო მიმართულებით.

ჩვენ სახელოვან თანამემამულეს ბატონ ჯემალ მებონიას გულთბილად ვულოცავთ ლამაზ იუბილეს და ვუსურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას, სულიერ სიმტკიცეს და უშრეტ ენერჯიას ერის და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

P.S. ნალენჯიხა ემზადება მოუწყოს ღირსეული შეხვედრა იუბილარს.

ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო

ნალენჯიხის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი

ნალენჯიხის სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი

ობუჯის, ჯალირის და სამესხოს სკოლების პედაგოგიური კოლექტივი

ვალერი ა. ჭანტურია, ზაურ გვასალია, ტარიელ ჯანჯღაგა, მელორ ზარეჟა, ვახტანგ ხარჩილაგა, რეზო კაჭარავა, გვანჯი მანია, ვალერი ვ. ჭანტურია, ოლეგ სალია, კოტე ჩიქობავა, მურმან ქარდავა, მურთაზ ციმიცია, თორნიკე კაკაჩია, ვალერი ძაძაძია, სერგო გულუა

„სულიკო“ მსოფლიოს ხალხთა ენაზე



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორმა ნინო პოპიაშვილმა წიგნი — „სულიკო“ მსოფლიოს ხალხთა ენებზე“ გამოსცა. მისი წარდგენა 2019 წლის თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე გაიმართა. გამოცემაში განხილულია აკაკი წერეთლის „სულიკოს“ თარგმანები და თან ერთვის 20-ზე მეტი ენაზე შესრულებული 100-მდე თარგმანი, ფოტო და აუდიო-ვიდეო მასალა. „სულიკოს“ თარგმანების ნაწილი პირველად გამოქვეყნდა.

„ამ წიგნმა იდეიდან გამოცემამდე გრძელი გზა განვლო. წიგნის ფურცლები შევსებულია სხვადასხვა ენასა და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ხელნაწერებით, თარგმანებით, ფოტოებით, ილუსტრაციებით, ვიდეო და აუდიო ფაილებით, ნოტებით და ეს ყველაფერი „სულიკოს“ უკავშირდება. წიგნზე მუშაობის დროს ბევრი რამ ჩემთვისაც სიახლე იყო — მაგალითად ის, რომ „სულიკო“ სტალინის საყვარელი სიმღერა ყოფილა. ეს ფაქტი საგანგებო შესწავლას საჭიროებდა. კვლევა-ძიების დროს მრავალ გამოცემასა და წყაროს გავეცანი, მათ შორის, შოსტაკოვიჩის

ასლად აღმოჩენილ მინიოპერას „ანტი-ფორმალისტური სამოთხე“, სადაც სტალინის არიაში „სულიკოს“ მელოდიაა გამოყენებული. როგორც ცნობილია, დიდ კომპოზიტორს, შოსტაკოვიჩს, სტალინმა ბრალად დასდო ფორმალისმი და მოუწონა მასებისათვის მნიშვნელოვანი მუსიკა შექმნა და არა ფორმალისტური ნაწარმოებები. შოსტაკოვიჩის ეს მინიოპერა, რომელიც კომპოზიტორმა ამერიკაში გახიზნა, მრავალი წლის განმავლობაში უცნობი იყო და ის სტალინის ბრალდებების ერთგვარი პასუხია.

წიგნში შესწავლილია თარგმანები. კვლევა-ძიების დროს ვიპოვე ათამდე გამოუქვეყნებელი რუსული თარგმანი და, სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ, წიგნში შევიტანე“, — გვითხრა წიგნის ავტორმა ნინო პოპიაშვილმა.

აქვეა რამდენიმე ახალი თარგმანი, რომლებიც სპეციალურად ამ გამოცემისთვის შესრულდა, მათ შორის, აფხაზურ (ირმა ოსია), ბერძნულ (მედეა აბულაშვილი და ანთუა დანილიდი), ესპანურ (ბექა ფიქრიშვილი), თურქულ (ქვესერ რუში, ქეთი ხანთაძე), ინგლისურ (დონალდ რეიფილდის ახალი თარგმანი ამ წიგნისათვის სპეციალურად), გერმანულ (ნინო პოპიაშვილი, იულია დენგი) და სხვა ენებზე.

2018 წელს წიგნი ფრანგულურთის წიგნის ფესტივალზეც იყო წარდგენილი. გამოსვლისთანავე მას დიდი საერთაშორისო დაინტერესება მოჰყვა. აქ გამოქვეყნებული თარგმანების ნაწილი შევიცარიის ლიტერატურულ ჟურნალში „Specimen Press“-ში დაიბეჭდა.

„სულიკო“ მსოფლიოს ხალხთა ენებზე“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა.

ნათო ოპოლაკა



ოფიციალური გვერდი

№146/01-01

17.6.2019

სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო — კვლევით ერთეულში — არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისალაზად კონკურსის გამოსცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 372 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის, 322 მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილების — „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობების დაკავების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №03; 23.06.2017 წ.), „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 5 აპრილის მ/04 ერთობლივი ბრძანების, თსუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის — არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის ნ. მახვარიანის 2019 წლის 11 ივნისის №10961/10 წერილის საფუძველზე,

ვ პ რ კ ა ნ ა ბ ა :

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის — არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისალაზად;

2. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს საკონკურსოდ გამოცხადებული ვაკანსიის პროფილის მიხედვით მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცხადება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ

დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებს) და გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 1 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით;

3. კონკურსის მიმდინარეობისას კონკურსანტთა შორის თანაბარი მონაცემების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სამსახურებრივი შეთავაზების არმქონე კონკურსანტს;

4. კონკურსი გამოცხადდეს 2019 წლის 19 ივნისს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2019 წლის

22 ივლისიდან 2019 წლის 26 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემადგენელი ოქმი დასამტკიცებლად წარედგინოს თსუ-ის რექტორს არაუგვიანეს 2019 წლის 27 აგვისტოს;

5. კონკურსი გამოცხადდეს თსუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის — არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონებისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად — 0,5 საშტატო ერთეული (4 წლის ვადით);

6. მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს საკონკურსო კომისიას შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე დადგენილი ფორმის მიხედვით (აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილება, დანართი №2);
- ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი/პირადობის მოწმობა);
- გ) ავტობიოგრაფია (CV);
- დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;
- ე) სამეცნიერო საქმიანობის გამოცდი-

ლების ამსახველი ინფორმაცია (მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ჩამონათვალი, თარიღების მითითებით და არსებობის შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევითი პროექტებში მონაწილეობის შესახებ);

ვ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი ან სხვა);

7. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2019 წლის 22 ივლისიდან 2019 წლის 26 ივლისის ჩათვლით. 11⁰⁰-დან 17⁰⁰ საათამდე, თსუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულში — არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. მისამართი: თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. №8, III სართული, ოთახი №306;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“.

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დავუკლოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

10. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი).

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი გიორგი შარვაშია



დაღესტნელი მხატვრების გამოფენა უნივერსიტეტში

ჟურნალი ბაროკო

„კავკასიური ექსპრესი-2019“ — ამ სახელწოდებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაღესტნელი მხატვრების გამოფენა გაიმართა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. „კავკასიური ექსპრესი 2019“ ფარგლებში დამთავრებული შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა დაღესტნის რესპუბლიკის თანამედროვე ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს. ექსპოზიციაში გამოფენილი იყო კავკასიელი მხატვართა ფერწერული, გრაფიკული ნამუშევრები, ასევე ფაიფურისა და საიუველირო ნაკეთობები. ექსპოზიციაზე, ასევე, წარმოდგენილი იყო ცნობილი ხელოვნის მანაბა მაჰომედოვის ნამუშევრები, რომლებიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდშია დაცული.

გამოფენის მონაწილეებს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფრინდაშვილი მიესალმა: „მოხარულეხი ვართ, რომ დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობს ამ არაჩვეულებრივ გამოფენას. დაღესტნელმა მხატვრებმა ჩამოიტანეს თავიანთი ხელოვნების ნიმუშები, რომლითაც დაადასტურეს, რომ დაღესტანში ხელოვნების ეს დარგი განვითარების მაღალ საფეხურზეა. ქართულ-დაღესტნურ კულტურულ ურთიერთობებს, რომელიც დღესაც გრძელდება, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართველ ხალხს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს და ყველას, ვისაც ხელოვნების ეს დარგი აინტერესებს, საშუალება აქვთ სიახლოვება მიიღონ ამ გამოფენით“, — აღნიშნა ნანა გაფრინდაშვილმა.

დაღესტნელ სტუმრებს გამოფენის გახსნა თსუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ჩუხუამ მიულოცა: „დაღესტნის შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველოში გრძელდება „კავკასიური დღეები“. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაღესტნელმა შემოქმედებმა, ჩვენმა უძველესმა პარტიორებმა და მეგობრებმა გამოფენა თსუ-ის 100 წლის იუბილეს მიუძღვნეს. ჩვენი ხალხის ურთიერთობები შორეული წარსულიდან იღებს სათავეს და სასიამოვნოა, რომ ეს მეგობრობა დღემდე გრძელდება. აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე დაღესტნელ მხატვართა უნიჭიერების წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას. როგორც ცნობილია, ამ მხარეში მთელი სოფლებია ცნობილი თავიანთი უნიკალური ხელოვნების ნიმუშების წარმოებით. ქართულ-დაღესტნურ ურთიერთობებში გამორჩეული სახელებიც არის ცნობილი, მათ შორისაა მანაბა მაჰომედოვი, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე თბილისში მოღვაწეობდა და შექმნა თვისი ცნობილი ციკლი — „თბილისი 1500“. ჩვენი კავკასიელ შემოქმედთა დიდი სურვილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მონაწილეობა მხატვართა



და ლიტერატურათმცოდნეთა ფორუმი. სასიამოვნოა, რომ ეს პროექტი ერთობლივი ძალისხმევით წარმატებით განხორციელდა“, — აღნიშნა მერაბ ჩუხუამ.

დაღესტნელ შემოქმედთა ჯგუფის წევრებს საქართველოს მხატვართა კავშირის წარმომადგენელი გურამ ცერცვაძეც მიესალმა: „საქართველოს ამ საინტერესო რეგიონთან ოდითგან განსაკუთრებული კულტურული კონტაქტები ჰქონდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოფენილი ხელოვნების ნამუშევრების გაცნობა მნიშვნელოვანია. ჩვენი ურთიერთობა, შემოქმედებითი კონტაქტები მომავალშიც გაგრძელდება და სასიკეთოდ წაადგება ორივე ქვეყანას“.

თსუ-ის მუზეუმის საგამოფენო სივრცეში გამოიფინა ცნობილი მხატვრების: მანაბა მაჰომედოვის, ჰასბულათ იუსუფოვის, იბრაჰიმხალილ სუფიანოვის, ჰაბიბულა ჰაბიბულაევის, ლეილა იზაბაქოვის, დიანა ჰამზათოვის, ტაპირ გაპუროვის, ელენე გაპუროვის, მაჰომედ დიბროვის, საიდ ტიპილოვის, ფატიმათ ჰუსეინოვის, ინესა ჰიმბატოვის, მაჰომედ მალაქაევის, მარატ გაჯიევის ნამუშევრები.

როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, გამოფენა გაგრძელდება იმ მასშტაბური

სამხატვრო-ლიტერატურული პროექტისა — „კავკასიური ექსპრესი“, რომელიც დაღესტანში, 2014 წლიდან ადგილობრივი მხატვრებისა და მწერლების თაოსნობით ეწყობა. პირველი გამოფენა 2014 წელს გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში შედგა. საზოგადოებრივი ორგანიზაციის „თარგმანთა კავკასიური სახლის“ ხელშეწყობით, მუზეუმმა მასინ 4 დაღესტნელი მხატვრის ნამუშევრები წარმოადგინა. 2014 წლის სექტემბერში მასაქალაში, ნიგნის ბაზრობის „ტარკი-ტაუ-2014-ის“ ფარგლებში, გაიხსნა ფოტოგამოფენა — „კავკასიური ექსპრესი-2014“. 2016 — 2017 წლებში სამხატვრო-ლიტერატურული ალმანახი „კავკასიური ექსპრესი“ ამ პროექტის გაგრძელებაა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს „თარგმანთა კავკასიური სახლი“ ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის მხარდაჭერით გამოსაცემად ამზადებს ალმანახის მომდევნო ნომერს. ორგანიზაცია აგრეთვე დახმარებას უწევს დაღესტნის თანამედროვე ხელოვნების გამოფენის გამართვას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ცნობილია, რომ თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია დაღესტნელ მეცნიერთა მთელი პლეადა.



მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია
მთავარი სამცხალისტი
მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი
მანანა ჯურხაძე

წარმომადგენელი:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთია ბეროშვილი

ფოტოკომპიუტერული
ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა
ზაზა გულაშვილი

რედაქციის წევრები:
იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
ირაკლი იმედაძე,
გიორგი ჯიანი,
თემურ ნადარეიშვილი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
ვლადიმერ მარგველაშვილი,
გიორგი ლოზიანიძე,
ნატა ასათიანი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
☎ 2 22 36 62
ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge
ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge



2017 წლის 1 ოქტომბრიდან
გადაცემა „უნი-ვერსია“
გაღის რეგიონულ
ტელევიზიაში, რასაც
საქართველოს
რეგიონულ
აუწყებელთა ასოციაცია
უზრუნველყოფს (თსუ-სა
და საქართველოს
რეგიონულ აუწყებელ-
თა ასოციაციასთან
გაფორმებული მემო-
რანდუმის თანახმად).